თბილისი ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ლაშა კურტანიძე

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე:

„ინოვაციური მეწარმეობა საქართველოში: მიღწევები, პრობლემები და სრულყოფის მიმართულებები“

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156, საქართველო

ივლისი 2019 წ.

თბილისი

ავტორი: ლაშა კურტანიძე _____

საიდენტიფიკაციო ნომერი _____

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ბიზნესი

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

„ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ლაშა კურტანიძის** მიერ შესრულებული სამუშაოს დასახელებით: „ინოვაციური მეწარმეობა საქართველოში: მიღწევები, პრობლემები და სრულყოფის მიმართულებები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი _____

ხელმძღვანელი: ელენე ჩიქოვანი, პროფესორი

_____

რეცენზენტი

_____

ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

ნათია ვაჭარაძე

_____

ანოტაცია

ტექნიკური პროგრესის უდიდესი ნაწილი ინოვაციათა შედეგია, რამაც ხელი შეუწყო ახლებური წარმოების ფორმირებას და განვითარებას, ამან თავის მხრივ წარმოშვა სწრაფად მზარდი ეკონომიკა მსფოლიოს ბევრ ქვეყანაში. ინოვაციებს მიიჩნევენ მამოძარავებენ ძალად მცირე და საშუალო ბიზნესში, ამასთან, გულისხმობენ არა მარტო მაღალტექნოლოგიურ, არამედ ინკლუზიურ ინოვაციებსაც.

ნაშრომში გამოკვლეულია ინოვაციების როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ისეთი ამოცანების გადაჭრის საფუძველზე, როგორიცაა ინოვაციის დეფინიციები, ინტერპრეტაცია, ძირითადი მახასიათებლები, ტიპოლოგია, ხელშემწყობი ფაქტორები და პრობლემები, განსაზღვრულია სახელმწიფოს როლი ინოვაციურ განვიტარებაში. გაანალიზებულია საქართველოში ინოვაციებისადმი მიდგომის ტენდენციები პოლიტიკასა და ბიზნეს-გარემოს მიმართებაში.

Annotation

The largest part of technical progress is the result of innovations, which contributed to the formation and development of new products, which in turn gave rise to a fast-growing economy in many countries. Innovations are considered as the main driving force in small and medium business, at the same time beside high-tech innovations, inclusive innovations are also very important.

The thesis analyzes the role of innovations in the development of small and medium business based on such objectives, such as the definitions of innovation, interpretation, basic characteristics, typology, problems and contributing factors, it determinies the government's role in innovative development. Trends of approach towards innovations in politics and business environment are also analyzed.

სარჩევი

შესავალი.....6

თავი 1 ინოვაციური მეწარმოეის განვითარების სფეროში არსებული მდგომარეობა საქართველოში

1.1 ინოვაციური მეწარმეობის ორგანიზების თავისებურებები საქართველოში.....9
1.2 ინოვაციური მეწარმეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მექანიზმები.....20
1.3 განვითარების სფეროში არსებული გამოწვევები და ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები.....26

თავი 2. ინოვაციური მეწარმეობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

2.1 ინოვაციური მეწარმეობის განვითარების სამთავრობო პროგრამები და სახელმძღვანელო სტრატეგიული დოკუმენტები.....36
2.2 . ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით ჩატარებული რეფორმების შეფასება.....39
2.3 ინოვაციური მეწარმეობის განვითარები ახალი მექანიზმები და არსებულის სრულყოფის გზები.....44

დასკვნა.....66

ბიბლიოგრაფია.....69

შესავალი

ინოვაციას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ის წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ წყაროს და ხშირ შემთხვევაში მასზეა დამოკიდებული ეკონომიკური წინსვლა და განვითარება. ინოვაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნესის განვითარებისთვის. ის ხელს უწყობს მაღალ კონკურენტუნარიანობას, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობს ბიზნესის და საბოლოო ჯამში ეკონომიკის განვითარებაში. სხვადასხვა კვლევები ცხადჰყოფს, რომ იქ სადაც განვითარებულია ინოვაცია, მაღალია საზოგადოების ცხოვრების დონე. ეს კი ძლიე ეკონომიკის ცალსახა ინდიკატორია.

თემის აქტუალობა

ინოვაციათა მნიშვნელობა ბიზნესის წინსვლისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საკითხებში - 21-ე საუკუნეში მზარდ აქტუალობას იძენს. მე-20 საუკუნის მანძილზე მიღწეული ტექნიკური პროგრესის უდიდესი ნაწილი სწორედ ინოვაციათა შედეგს წარმოადგენდა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ახლებური წარმოების ფორმირებასა და განვითარებას. ამან კი, თავის მხრივ წარმოშვა სწრაფად მზარდი ეკონომიკა ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში, რის დამსახურებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ დღეს ეს ქვეყნები განვითარებული სახელმწიფოების სახელით მოიხსენიებიან და რეალურად უსწრებენ წინ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს საკუთარი ეკონომიკური განვითარების დონით.

ინოვაციათა დიდი მნიშვნელოვნება განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ დღევანდელ მსოფლიოში თითქმის აღარ არსებობს სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზირებული წარმოება, ხოლო ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული თუ საერთაშორისო ბიზნესი, უმეტეს შემთხვევაში, კერძო პირების მფლობელობაშია - თანამონაწილეობის ანდა მონოპოლიის სახით. ამდენად, ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული ინოვაციური აქტივობა ერთმნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას კონკრეტულ სახელმწიფოში ბიზნეს-კომპანიათა ფორმირებასა და განვითარებაზე, ვინაიდან, გარდა მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლისა და პროგრესისა, ინოვაციათა

უპირველეს დანიშნულებად დღესდღეობით ფინანსური მოგება ისახება. ამდენად, ინოვაციურ იდეათა და პროექტთა გარეშე, ძალიან რთულია ბიზნესის ნებისმიერი სეგმენტის განვითარება, ვინაიდან ბიზნეს-კომპანიათა განვითარებაში, დღესდღეობით, სწორედ ინოვაციას შეაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი, რამდენადაც კომპანიის წინსვლასთან დაკავშირებული ინოვაციური იდეები არის ის მექანიზმი და ძალა, რომელმაც შესაძლოა კონკრეტული ფირმის კონკურენტუნარიანობა მრავალჯერ გაზარდოს - როგორც ადგილობრივ, ასევე - საერთაშორისო ასპარეზზე.

ინოვაციათა მნიშვნელოვნება კიდევ უფრო იზრდება განვითარებად ქვეყანათა შემთხვევაში, ვინაიდან ამგვარი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია მრავალი ეკონომიკური სირთულე, რაც ჯერ კიდევ განვითარებადი (ან განუვითარებელი) ეკონომიკის არსებობითაა გამოწვეული. განვითარებად სახელმწიფოებში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მამოძრავებელ ძალას სწორედ ინოვაციები უნდა წარმოადგენდეს - იგულისხმება არამხოლოდ მაღალტექნოლოგიური, არამედ - ინკლუზიური ინოვაციებიც, რომლებიც კონკრეტულად ამ ქვეყნის პირობებს, დაბრკოლებებსა და სპეციფიკას იქნება მორგებული. ეს უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას - სიღარიბის დაძლევის, უმდიდრეს და უღარიბეს მოსახლეობას შორის არსებული უფსკრულის შემცირებისა და ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის ზრდით, რაშიც თავისთავადია, რომ სახელმწიფოსაც ეკისრება პასუხისმგებლობა.

საქართველოში, რომელიც განვითარებად სახელმწიფოს წარმოადგენს საკმაოდ რთული ეკონომიკური პრობლემებით, ინოვაციური მიდგომის მნიშვნელოვნება შესაძლოა კიდევ უფრო დიდი იყოს, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომელთაც უკვე გადალახეს თანამედროვე ეკონომიკური განვითარების სირთულეთა ძირითადი ბარიერები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც იდეალური ბუნებრივი პირობები გააჩნია სასოფლო მეურნეობის და მასთან დაკავშირებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. ამ მხრივ, ქვეყანაში საჭიროა ინოვაციური მიდგომა აღნიშნული ბიზნესის განვითარებისათვის, რისი პერსპექტივაც დიდწილად

სწორედ ინკლუზიურ ინოვაციურ მიდგომებში ისახება. როგორც მოცემული ნაშრომის ძირითად ნაწილში ვნახავთ, ინკლუზიური ინოვაცია გულისხმობს კონკრეტული ქვეყნის კონკრეტული ეკონომიკური სფეროს განვითარების ხელშეწყობას სპეციფიკურ მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური იდეების განხორციელების გზით, იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო სფერო, მრეწველობა თუ ეკონომიკის სხვა დარგი. ამდენად, საქართველოს ეკონომიკისთვის, რომელიც ამჟამად ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის შესაბამისი განუვითარებლობის გამო საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია, უკიდურესად მნიშვნელოვანია ინოვაციური მიდგომისა და მსოფლიოში არსებული რელევანტური პრაქტიკის დაგეგმვა. ეს, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ, ადგილიდან დაძრავს ათწლეულების მანძილზე პრაქტიკულად გაყინულ ეკონომიკას. ამდენად, ინოვაციათა როლის შესწავლა ქვეყანაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში მრავალმხრივი მნიშვნელობის მქონეა და იგი რეალურად წარმოადგენს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს შესწავლის ერთ-ერთ აქტუალურ საგანს.

თავი 1.

ინოვაციური მეწარმოეის განვითარების სფეროში არსებული მდგომარეობა საქართველოში

1.1 ინოვაციური მეწარმეობის ორგანიზების თავისებურებები საქართველოში

ბევრ ქვეყანას გააჩნია დაგროვილი გამოცდილება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და ინოვაციათა ხელშეწყობის პოლიტიკაში, რომლის მიზანიცაა სამეცნიერო და ტექნოლოგიური წინსვლის კომერციალიზაციის ფასილიტაცია. მაგალითად, თურქეთში ამგვარი პოლიტიკის ინიცირება თავდაპირველად 1960-იან წლებში მოხდა, თურქეთის სამეცნიერო და ტექნიკური კვლევითი საბჭოს“ შექმნით (Technical Research Council of Turkey (TÜBİTAK)), რომლის მიზანიც იყო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პოლიტიკის იმპლემენტაციის მომზადება და კოორდინირება.

1997 წლიდან, აქცენტი კეთდებოდა ორიგინალურ ინოვაციურ სისტემებზე, მათ განვრცობაზე, ინოვაციურ აქტივობათა სტიმულაციაზე და მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციურ აქტივობათა მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე[1].

რაც შეეხება საქართველოს სამთავრობო პოლიტიკას მცირე ბიზნესის მიმართ - აქ ექსპერტთა მოსაზრებები არაერთგვაროვანია(Papiashvili, Ciloglu, 2012). ტ. პაპიაშვილი და ი. სილოღლუ[2] მიიჩნევენ, რომ საქართველოში არ არსებობს სპეციალური პოლიტიკა მცირე ბიზნესთან მიმართებით, ვინაიდან არსებობს რწმენა, რომ წარმატებული მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკა ქმნის ხელსაყრელ გარემოს ნებისმიერი ბიზნესისათვის, საწარმოს ზომის და სხვა მახასიათებელთა მიუხედავად (Strategic; 2011). ამავდროულად, პოლიტიკა ორიენტირებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რაც გულისხმობს მთლიანი შიდა

[1]Small and medium-sized enterprises in Turkey: Issues and policies(2004), OECD. Retrieved January 5, 2012 from http://www.oecd.org/dataoecd/5/11/31932173.pdf

[2]Tatiana PAPIASHVILI, Ilyas CILOGLU, „Innovation and Small Business in Georgia“.7th Silk Road International Conference “Challenges and Opportunities of Sustainable Economic Development in Eurasian Countries”, 2012.

პროდუქტის ზრდას. თუმცა, სიღარიბე და უმუშევრობა კვლავაც ყველაზე მტკივნეულ საკითხებს წარმოადგენს ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ამ პრობლემათა გადაჭრას. კერძოდ, 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, საქართველოში უმუშევრობის რიცხვი სტაბილურად მაღალი იყო, რაც დღესაც გრძელდება. „საქსტატის“ ოფიციალური მონაცემებით, ეს რიცხვი 2008 წელს 16.5%-ს შეადგენდა, 2009 წელს - 16.9%-ს, ხოლო 2010 წელს - 16.3%-ს, 2011- 15.1 %-ს, 2012 – 15.0 %, 2013 – 14,6 %, 2014 – 12.4%-ს, 2015 – 12 %-ს. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ რეალურად ეს რიცხვი ბევრად უფრო მაღალია, თუკი გავითვალისწინებთ საქართველოში სიღარიბის ზღვარზე და მის ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის დიდ რაოდენობას.

საქართველოში უმუშევრობის რიცხვი დაახლოებით ისეთივეა, როგორც საშუალო დონის განვითარებად ქვეყნებში. თუმცა, სინამდვილეში იგი რეალურად არ წარმოაჩენს შრომით სურათს, რამდენადაც მრავალი ადამიანი, რომლებიც სტატისტიკური მიზნებისათვის მიიჩნევიან „დასაქმებულად“, სინამდვილეში ნახევრად უმუშევარი არიან - რაც ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ არასაკმარისი ანაზღაურება, არარეგულარული ანდა სეზონური დასაქმება, და არ გააჩნიათ საკმარისი შესაძლებლობები საკუთარი ეკონომიკური მობილობის გასაზრდელად. როგორც ტ. პაპიაშვილის და ი. სილოღლუს კვლევა[3] გვიჩვენებს, მაგ. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოს მოქალაქეთათვის კვლავაც უმუშევრობა რჩება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად (რესპოდენტთა 59%)[4]. ეკონომიკური ზრდის მოკლე ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ მიუხედავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წარმატებული პოლიტიკისა და მთლიანი შიდა პროდუქტის შთამბეჭდავი ზრდისა 2005-2007 წლებში (საქსტატი), და 2010 წელს ამ ზრდის აღდგენისა, დასაქმების შესაძლებლობები კვლავაც ძალიან შეზღუდულია საქართველოში. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ უმუშევრობა არ არის მხოლოდ სოციალური პრობლემა - იგი ეკონომიკური პრობლემაცაა. აქედან

[3]Tatiana PAPIASHVILI, Ilyas CILOGLU, „Innovation and Small Business in Georgia“.7th Silk Road International Conference “Challenges and Opportunities of Sustainable Economic Development in Eurasian Countries”, 2012.

[4]Poll: Georgia’ s main problem - unemployment.(23.10.2009).Georgia Times.Retrieved June 14, 2011 from. http://www. georgiatimes.info/news/24118.html

გამომდინარე, ვეთანხმებით იმ მკვლევართა აზრს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულია, რომ მოახდინოს რეორიენტაცია დასაქმების პოლიტიკისა და ფოკუსირდეს უმუშევრობის შემცირებაზე, როგორც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საკითხზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს დასაქმების ხელშეწყობის საყოველთაოდ აღიარებულ ძრავას მთელ მსოფლიოში, საქართველო საჭიროებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სპეციალურ პოლიტიკას. ზოგადად, საქართველოს მთავრობის როლი უნდა იწყებოდეს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსირების, მარკეტინგისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერისთვის საჭირო ინსტრუმენტების შექმნით და უზრუნველყოფით, მაგრამ უმთავრეს პრიორიტეტს - ადამიანური კაპიტალის შექმნა წარმოადგენს. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ მთავრობის მხრიდან ინიციატივის გამოჩენა შემდეგი მიმართულებებით უნდა მოხდეს:

1. ცოდნის ხელმისაწვდომობა შესაძლებელია გაიზარდოს სასწავლო/სატრენინგო სისტემის შექმნით ამჟამად მოქმედი ცალკეული მეწარმეებისთვის.

2. ცოდნის გარდაქმნის შესაძლებლობა ახალ პროდუქტებად, სერვისებად, პროცესებად და იდეებად - დამოკიდებულია კავშირზე ერთის მხრივ ბიზნესის მრჩეველობითი სერვისების, მეორეს მხრივ კი - მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებსა და მენეჯერებთან. ბიზნეს-ინკუბატორები წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარებისა და ამ სექტორში ინოვაციების შექმნისთვის არსებულ საუკეთესო ინსტრუმენტს.

მართლაც, ახალი პროდუქტის ან სერვისის მარკეტინგი საჭიროებს დაგეგმვას, ფინანსირებას, რეკლამას და ბაზრის კვლევას, წარმოების და კონტროლის შესაძლებლობებს, საბითუმო გაყიდვების ცოდნას, საცალო ვაჭრობისა და ფასების დადგენის ცოდნას და ა.შ. ეს აქტივობები კი საჭიროებს სპეციალურ უნარებს, რომელიც ბიზნესის ყველა მფლობელს უნდა გააჩნდეს ან ისწავლოს. შემთხვევათა უმეტესობაში, ეს უნარები აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს, ხოლო მთავრობას შეუძლია მიაწოდოს ბიზნესმენებს რჩევა, თუ სად და როგორ აითვისონ ეს უნარები. ხოლო ახალგანვითარებად ბიზნეს-

კომპანიათა დაჯგუფება უნივერსიტეტებთან ან დიდ ბიზნეს-კომპანიებთან ახლოს შესაძლოა სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს ინოვაციური აზროვნების გენერირებისთვის. მხოლოდ მთავრობას ძალუძს, რომ მოახდინოს სხვადასხვა მცირე, საშუალო და დიდ საწარმოს, უნივერსიტეტებს, პროფესიულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის კოორდინაცია, რაც აუცილებელი პირობაა ბიზნესის ინოვაციური განვითარებისთვის. ასევე, მხოლოდ მთავრობას შეუძლია მოახდინოსინოვაციისთვის საუკეთესო ტექნოლოგიისა და პრაქტიკის იდენტიფიცირება, და ამ ინფორმაციის გაზიარების ორგანიზება ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების მეშვეობით.

საქართველოში მაღალტექნოლოგიური საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის ბოლო პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია, მაგალითად:

1. 2010 წლის ბოლოს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების დაწესებით ინვესტიციების მოზიდვა და მიმზიდველი გარემოს შექმნა იმპირებისათვის, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას განახორციელებენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. მაგალითად, კანონის მიხედვით არი ბეგრება ვირტუალური ზონის პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება;
2. 2011 წელს საქართველოს ტექნიკურუნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ტექნოპარკი. მისი მიზანია, საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში არსებული იდეების გენერირება და განხორციელების ხელშეწყობა. ტექნოპარკის საქმიანობაში ჩართულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გამოიგონონ და განახორციელონ იდეები და გახდნენ კომერციულად წარმატებული IT პროექტის მფლობელები. თავის მხრივ ტექნიკური უნივერსიტეტი IT ტექნოპარკის მონაწილეებს IT პროდუქტების შექმნის პრაქტიკული ჩვევებითა და ცოდნით უზრუნველყოფს; ასევე, ჩართავს მათ კომერციული დაკვეთის შესრულების პროცესში;

3. საქართველოში დაფუძნდა პირველი კერძო ვენჩურული ფონდი, რომლის ძირითადი მიზანი საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სივრცეში ნოვაციური იდეებისა და პროექტების დაფინანსებაა;

საქართველოს საგადასახადო კოდექსში მცირე და საშუალო საწარმოებისადმი მიძღვნილ XII თავში „ საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები„ - მცირე და მიკრო ბიზნესი არ იხდის დღგ-ს, რაც წინა კოდექსითაც იყო გათვალისწინებული. მიკრო- ბიზნესი (ფიზიკური პირი) არ იხდის საშემოსავლო გადასახადს, მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება - 5 %-ით, ხოლო გარკვეული პირობების შესრულებისას - 3 %. სპეციალური რეჟიმი ეხება მშპ-ს ძალიან მცირე ნაწილის წარმომქმნელ საწარმოებს. მცირე და მიკრო საწარმოები ერთად 7,2 %-ს ქმნიდნენ, როცა მცირე საწარმოდ ითვლებოდა 500 ათას ლარზე ნაკლები შემოსავლის საწარმოები, ხოლო როცა ეს ტანხა 100 ათასამდე დაიწია, მათი წილი ბუნებრივია შემცირდებოდა.

ო.შატბერაშვილი ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოების კვლევისას შენიშნავს, რომ მცირე და საშუალო საწარმოების განსაზღვრებიდან გამომდინარე, თუ მათი პროდუქციის წილი მშპ-ში დაბალია, ის ნაკლებ ყურადღებას მოითხოვს, რითაც ხსნიან ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

საქართველოს კანონმდებლობით ინოვაციური მცირე მცირე საწარმოების ცნება არაა დადგენილი, თუმცა ინოვაციური საწარმოების მიმართ შეღავათებად მოიაზრებენ მოგების გადასახადისგან გათავისუფლების ზოგიერთ შემთხვევას. კერძოდ ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული საინფორმაციო ტექნოლოგიებით ინფორმაციის მიწოდებით მიღებული მოგება და სამედიცინო დაწესებულების მოგების ის ნაწილი, რომელიც მატერიალური ბაზის განვითარებას ხმარდება.

დღგ-სგან თავისუფლდება განათლების მომსახურება, ინფორმაციის იმპორტი, ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებული კვლევითი სამუშაოები, ქონების გადასახადისგან - საცდელ-საკვლევი მიწის ნაკვეთები. დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება „ შემოსავლის მიღებასთან

დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკვლევი მიწის ნაკვეთები.

ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათები მწირია და არაა საკმარისი. მცირე და საშუალო საწარმოებისადმი არასაგადასახადო საფინანსო დახმარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არაა (შეღავათიანი სესხები, გრანტები) .

მცირე და საშუალო საწარმოებს ხელი არ მიუწვდებათ კვლევის სახელმწიფო დაფინანსების წყაროებზე, (მაგალითად ვერ მიიღებენ მონაწილეობას რუსთაველის ფონდის საგრანტო კონკურსში, ვინაიდან 2003 წელს ბევრ კვლევითი ორგანიზაციას საქართველოში „ შპს“ -ს სამართლებრივ- ორგანიზაციული ფორმა განესაზღვრა (ანუ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებად გადაიქცნენ) და შეუწყდათ სახელმწიფო დაფინანსება.

ყველა წარმატებულ ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოების ინტერესებს უპირველესად სააგენტოები წარმოადგენენ. საქართველოში ამ ფუნქციას ასრულებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. არის ასევე რამდენიმე არასამტავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ცდილობენ მთავრობისთვის წინადადებების შეთავაზებას. მაგალითად მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის მიერ მომზადებული და შეთავაზებული იყო მსს-ს განვითარების პროექტი.

2013 წელს საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება საინოვაციო გარემოს მიმართ სწრაფად შეიცვალა უკეთესობისკენ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სტრატეგიებზე დაფუძნებული განვითარების აღიარება. შესაბამისად, ხელისუფლებამ დაიწყო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა. 2014 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა „ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვიტარების სტრატეგია 2020 „ -ის პროექტი, რომელიც შეიცავს ქვეთავს „ ინოვაცია და ტექნოლოგიები“. პარალელურად, მსოფლიო ბანკის დახმარებით, ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს საქართველოს საინოვაციო სტრატეგიაზე. ინოვაციური განვიტარებისთვის საჭირო ზოგიერთი პრაქტიკული ინსტრუმენტი უკვე შექმნილია, კერძოდ:

1. 2014 წლის თებერვალში საქართველოში შეიქმნა *ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო*, რომლის მიზნებსაც წარმოადგენს საქართველოში

ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია, ქვეყნის ინოვაციების და ტექნოლოგიების ერთიანი პოლიტიკის და სტრატეგიის განხორციელების პროცესის ხელშეწყობა და კოორდინირება, მომსახურებების, ინსტრუმენტების, პროგრამების და ინფრასტრუქტურული პროექტების ფორმირება კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობისათვის, საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი პროექტების დაპროგრამების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინირება, ექსპორტზე ორიენტირებული ინოვაციების და ტექნოლოგიების, ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქტების და მომსახურების, მათ შორის საექსპორტო პროგრამირების განვითარების ხელშეწყობა, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და ინტერნეტის გამოყენების ეფექტურობის ამაღლებისათვის დაგეგმილ მიზნობრივ პროგრამებში და პროექტებში მონაწილეობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის ინიციატივების და წინადადებების წარდგენა ინოვაციების და ტექნოლოგიების, ინტერნეტიზაციის და საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მოსამზადებლად, ასევე საექსპერტო მხარდაჭერის განხორციელება. სააგენტოს პროგრამები მიმართულია სტარტაპების მხარდაჭერაზე და აქსელერატორების დაარსებაზე, ინოვაციური პროდუქტებისა და კვლევების წარმოების გზით სამეცნიერო სფეროს განვითარების ხელშეწყობისაკენ, ქვეყანაში კრეატიული ინდუსტრიის ფორმირების ხელშეწყობისაკენ, ექსპორტზე ორიენტირებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს ჩამოყალიბებისაკენ, პრიორიტეტულ მიმართულებებზე სხვადასხვა სახის ტრეინინგების და სწავლებების ჩატარებაზე, საქართველოში ინოვაციების ინფრასტრუქტურის და სოციალური ინოვაციების განვითარებაზე.

სააგენტო აქტიურადაა ჩართული ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, ინოვაციების ლაბორატორიების, აქსელერატორების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნასა და მათი განვითარების ხელშეწყობაში. მისი ფუნქციაა ისეთი კვლევითი და ორგანიზაციული სამუშაოების ხელშეწყობა, რომელიც

მთავრდება საბაზრო ღირებულების მქონე ახლაი პროდუქტის ან პროცესის შექმნითა თუ გაუმჯობესებით (მიუხედავად იმისა, ტარდება ეს სამუშაოები უნივერსიტეტში, მცირე საწარმოში თუ ორივეში ერთად). ასევე მისი საქმიანობა უნდა ვრცელდებოდეს იმპორტირებული ტექნოლოგიების ათვისების სფეროზე, როდესაც ათვისება ადაპტირებასთანაა დაკავშირებული. სააგენტოს საქმიანობა ვრცელდება ყველა დარგზე - სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფერო.

2. მეწარმეობის განვითარების სააგენტო - მისი ფუნქციაა მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარება და ამ ბიზნესის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება. მისი საქმიანობა, როგორც საერტაშორისო პრაქტიკა გვაჩვენებს, მჭიდროდ უკავშირდება საინოვაციო საქმიანობას.

3. ციფრული მაუწყებლობის სააგენტო - მისი ამოცანაა საეთერო ტელემაუწყებლობის გადაყვანა ანალოგიურიდან ციფრულ ტექნოლოგიაზე, რაც საქართველოსთვის სერიოზული და ძვირადღირებული ინოვაციაა. ახალი მაუწყებლობის ტევადობა მრავალჯერ აღემატება ანალოგიური მაუწყებლობის ტევადობას, რაც საშუალებას იძლევა გამოტავისუფლებული სამაუწყებლო სიხშირეები გამოყენებულ იქნას დამატებითი სერვისების განვითარებისთვის (მობილური კავშირი, ინტერნეტი და სხვა)

დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს დამწყებ მეწარმეებს, პროგრამის მონაწილეებს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ფინანსური სახსრები ბიზნესის დაწყების, ან განვითარებისათვის, ეძლევათ უნიკალური შანსი საკუთარი იდეები კონკრეტულ ბიზნესად აქციონ. პროექტის მიზანია ინოვაციური სტარტაპ იდეების საშუალებით საქართველო მოინიშნოს მსოფლიოს გლობალურ რუკაზე, როგორც ინოვაციური ბიზნესის წარმოების ერთ-ერთი მთავარი ეპიცენტრი. სტარტაპები შედარებით რისკიან საინვესტიციო პროექტებს წარმოადგენს, ამიტომაც მათ საბანკო დაფინანსების მოპოვება ხშირად უჭირთ. უცხოეთში არსებობენ კერძო სტარტაპ „გენერატორები“, რომელთა მეშვეობთაც დამწყები ბიზნესმენები დაინტერესებულ პირებს და ინვესტორებს საკუთარ პროექტებს აცნობენ, შედეგად კი, მათი დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობას იღებენ. ასევე არსებობს მსგავსი შინაარსის მქონე

ვებგვერდებიც, რომელთა მეშვეობითაც ინოვატორებს კაპიტალის მოზიდვის საშუალება ეძლევათ. უცხოეთში ასევე არსებობს სახელმწიფოს კუთვნილი სტარტაპ ფონდები, რომლებიც დამწყებ ბიზნესებს შესარცევი კონკურსის გავლის შემდეგ ძირითადად 60 000 $-მდე თანხის დაფინანსებას აძლევენ.

საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოში გაიმართა სტარტაპ საქართველოს ფინალური შერჩევა. ფინალისტების შერჩევის მთავარი კრიტერიუმებია, ისეთი პროექტების შერჩევა, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება გლობალური მასშტაბით და ექნება ზრდის შესაძლებლობა. შემოსული განცხადებების შეფასებას საერთაშორისო ექსპერტები „ სილიკონის ველიდან „ ახდენდნენ. შეფასების მტავარი კრიტერიუმები იყო: ინოვაციურობის ხარისხი, გლობალურ ბაზარზე გასვლის პოტენციალი, ვენჩურული ინვესტიციებისთვის მიმზიდველი პროდუქტები, გუნდის კომპეტენტურობა და ა.შ.

„სტარტაპ საქართველოს“ მაღალტექნოლოგიური ბიზნეს იდეების ფინალისტებისთვის ეწყობა ტრენინგები ტექნოპარკში, სადაც მაღალკვალიფიციური ტრენერები სილიკონის ველიდან ქართველ სტარტაპებს მოამზადებენ ვენჩურულ ინვესტორებთან შესახვედრ

ად საკუთარი პრეზენტაციების წარდგენისათვის.

დანართი.1



(ბიზნესის ხელისშემსლელი ფაქტორები)

დანართი 2.



(ევროკავშირი: წარმოების შემაფერხებელი მთავარი ფაქტორების ხუთეული)

დანართი 3.

	2013	2014	2015	2016	2017	
სულ	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**Total**
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:						***By economic activity:***
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.8	0.8	0.8	0.8	0.8	Agriculture, forestry and fishing
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	Mining and Quarrying
დამამუშავებელი მრეწველობა	5.0	4.9	4.8	4.7	4.5	Manufacturing
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	Electricity, gas, steam and air conditioning supply
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	Water supply; Sewerage, Waste Management and Remediation Activities
მშენებლობა	2.5	2.6	2.6	2.6	2.6	Construction
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	23.9	23.2	22.6	21.8	20.8	Wholesale and retail trade; repair of motor vehicles and motorcycles
ტრანსპორტირება და დასაწყობება	2.8	2.8	2.7	2.6	2.5	Transportation and storage
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2.1	2.1	2.1	2.1	2.1	Accommodation and food service activities
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.9	0.9	0.8	0.8	0.8	Information and communication
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1.4	1.3	1.3	1.2	1.2	Real estate activities
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1.8	1.8	1.8	1.8	1.7	Professional, scientific and technical activities
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.9	0.9	0.9	1.0	1.0	Administrative and support service activities
განათლება	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	Education
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.7	0.7	0.7	0.7	0.6	Human health and social work activities
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.5	0.5	0.5	0.5	0.4	Arts, entertainment and recreation
სხვა სახის მომსახურება	1.6	1.6	1.5	1.5	1.4	Other service activities
საქმიანობა უცნობია	54.1	55.1	55.9	57.1	58.7	Unnoun activity
რეგიონების მიხედვით:						***By region:***
ქ. თბილისი	44.2	43.8	43.6	43.2	43.2	The city of Tbilisi
აფხაზეთის არ	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	Abkhazeti AR
აჭარის არ	8.1	8.2	8.5	8.6	8.7	Adjara AR
გურია	2.5	2.5	2.4	2.4	2.4	Guria
იმერეთი	14.1	14.2	14.1	14.0	14.0	Imereti
კახეთი	6.1	6.0	6.1	6.3	6.2	Kakheti
მცხეთა-მთიანეთი	1.9	1.9	1.8	1.8	1.8	Mtskheta-Mtianeti
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.7	0.7	0.8	0.8	0.8	Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8.0	8.1	8.1	8.0	7.9	Samegrelo-Zemo Svaneti
სამცხე-ჯავახეთი	2.7	2.7	2.8	2.8	2.9	Samtskhe-Javakheti
ქვემო ქართლი	7.4	7.4	7.4	7.4	7.4	Kvemo Kartli
შიდა ქართლი	4.5	4.5	4.4	4.5	4.4	Shida Kartli

(რეგისტრირებულ საწარმოთა სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით)

1.2 ინოვაციური მეწარმეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მექანიზმები

საქართველოში მცირე საწარმოთა განვითარების ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო, რასაც საფუძვლად დაედო წარმატებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის გამოცდილება და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მექანიზმები. 1990-ანი წლებიდან პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სწრაფი ტემპებით დაიწყო საზოგადოებრივი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესების განვითარება, გაჩნდა საკუთრების ახალი ფორმები და შეიცვალა სოციალური სტრუქტურა. საზოგადოებრივი ცვლილებები შეეხო ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ საკითხებს. საკუთრების განსახელმწიფოებრიობის შედეგად ჩამოყალიბდა საკუთრების განსხვავებული ფორმები კერძო, სახელმწიფო, კოლექტიური. თავდაპირველად შეიმჩნეოდა წარმოების ვარდნა, გაიზარდა უმუშევრობა, გაუარესდა ცხოვრების დონე. ამ პირობებში განვითარება დაიწყო მცირე ბიზნესმა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებულმა სფერომ. მცირე ბიზნესის წინსვლამ ჩაუყარა საფუძველი ეკონომიკის ეფექტიან განვითარებია და მიგვიყვანა საკუთრების ახალი ფორმების შექმნამდე. სწორედ მცირე ბიზნესის, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებული ფორმის შექმნა, წარმოადგენს ახალი ეკონომიკური და სოციალური გარემოს ფორმირების წინაპირობას. მცირე ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს მეცნიერებატევადი პროგრესული ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გამოყენებას. სწორი პოლიტიკური ნაბიჯი გადაიდგა მთავრობის მიერ როდესაც, 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ძირითად პრინციპებს. შეიქმნა მცირე საწარმოთა საკოორდინაციო საბჭო, ჩამოყალიბდა მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, რომლის ფუნქციას წარმოადგენდა,

მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ღონისძიებებისა და სპეციალური დახმარების პროგრამების განხორციელება. 1999 წელს მიღებულ კანონს, 2002 წელს გადაერქვა სახელი და ეწოდა „მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონი. სამთავრობო დახმარების კონცეფციისა და სპეციალური პროგრამის განხორციელების შედეგად მცირე და საშუალო საწარმოთა აქტივობების ზრდის პროცესი გაუმჯობესდა.

ვარდების რევოლუციის შემდგომ, ქვეყნის ეკონომიკამ განვითარების ახალ გზას დაადგა, დაიწყო ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების რეფორმები და ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ პერიოდში დაიწყო კანონების განახლება, განმტკიცდა საბიუჯეტო-ფინანსური დისციპლინა, შემუშავებულ და განხორციელებულ იქნა კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და

სამოქმედო გეგმა,რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიზნეს გარემოს მოდერნიზაციის პროცესს. საწარმოთა რეგისტრაციისა და საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებული პროცედურები. შემცირდა საგადასახადო ტვირთი, კერძოდ 2005 წელს ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შედეგად 21 გადასახადიდან გააუქმდა 12, სამართლიანი კონკურენციის სტიმულირებისათვის საქონლისა და მომსახურების გარკვეულ ნაწილზე შემცირდა დღგ. გაფართოვდა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა საბანკო სესხების მიღმა. საგადასახადო სისტემაზე 2011 წელს განხორციელდა დამატებითი ცვლილებები. ამასთან 2009 წელს საგადასახადო სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა გაამარტივა საგადასახო სისტემა და გადასახები ექვსამდე შემცირდა. უკანასკნელ წლებში გატარებულმა რეფორმებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ პოზიტიურ შეფასებებში, რომლებიც ძირითადად დაეფუძნა ახალი კანონებისა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ამავე დროს მკვეთრად გაუარესდა საკანონმდებლო და რეგულაციური გარემო მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში. გაუქმებულ იქნა კანონი „მცირე და საშუალოხაწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ და ის სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობას.

ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ იქნა ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რომლის თანახმად ეკონომიკის ყველა სექტორი იმართება მხოლოდ თავისუფალი საბაზრო კანონებით, სახელმწიფო არ გამოყოფს პრიორიტეტულ სექტორს და აწესებს ყველა საწარმოსათვის დაბეგვრის ერთნაირ რეჟიმს. გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის კურსისა და თანაბარი საგადასახადო რეჟიმის პირობებში მცირე მეწარმეობამ ვერ გაუწია კონკურენცია მსხვილ ბიზნესს და მისი წილი ღირებულებათა შექმნილ მთლიან ჯაჭვში თანდათანობით შემცირდა. ამის შედეგად გაიზარდა რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობა, თუმცა აღნიშნულს გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოუწვევია. კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმების შემდეგ განსაზღვრებები მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ გადატანილ იქნა კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსში წარმოდგენილი მცირე ბიზნესის განსაზღვრებები წინააღმდეგობაში მოდის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ კანონში მოცემულ განსაზღვრებასთან. აზრით მცირე ბიზნესის შემოსავლის ზღვარის 500,000 ლ – 100,000 ლ-მდე დაწევის შედეგად შემცირდება მისი წილი მ.შ.პ-ში, რომელიც ამჟამად 7-8% ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება მიკრო ბიზნესს ამ სტატუსის შემოღებაში პრაქტიკულად არ არის ინოვაცია, რადგან ამ კატეგორიის მეწარმეები გადასახადებს ისედაც არ იხდიდნენ. ამჟამად სტატისტიკის დეპარტამენტი გვთავაზობს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განმარტების ახალ მეთოდოლოგიას. 2017 წლიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს: მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნლარს. საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე. მცირე ზომი სსაწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური

რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნლარს [www.gwostat.ge]. ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მიღებულ იქნას კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის რეალურ სტატუსს და დაარეგულირებს მასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ საკითხებს. დღეს საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის მიხედვით გაუმჯობესების მიზნით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება რიგი მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული პროექტები. მეწარმეობის ზრდის პროგრამის (EGP) და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების (BAS) პროგრამების (ევროკავშირის მხარდაჭერით) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება EBRD-ის მიერ, 800-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს გაეწია მხარდაჭერა. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის East Invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა. 2015 წელს, ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს DCFTA-ის და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას (ბიუჯეტი - 44.5 მილიონი ევრო). პროექტის მიზანია:

ა) DCFTA-ს პოლიტიკის ჩარჩოს შემდგომი გაძლიერება და მცირე და საშუალომეწარმეობის ხელშეწყობა;

ბ) ვაჭრობასთან და კერძო სექტორთან დაკავშირებული ინსტიტუციების გაძლიერება.

გ) ეკონომიკური აგენტების და მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერება DCFTA-ის პროცესების პარალელურად .

„მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“: ევროკავშირის მიმდინარე პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში. ამ პროგრამის ფარგლებში OECD-იმ დაიწყო პროექტი „გარემოსთვის მისაღები ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოებში“, რომლის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის და ასევე ბიზნესებს შორის დიალოგის ხელშეწყობა „მდგრადი“ წარმოების განვითარების მიზნით. საქართველოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნეს სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან კანონმდებლობის შემუშავების კუთხით. ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ს ცნობადობის ამაღლების მიზნით იმართება რეგულარული შეხვედრები და კონფერენციები, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შემუშავებული და დამტკიცებულია ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ს სამოქმედო გეგმები, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად

ითვალისწინებს შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების შესრულებას, საინფორმაციო კამპანიებს და სხვა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია, რომელიც 2016 – 2020 წლებზეა გათვლილი.მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ზრდას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებისთვის [http://topnews.mediamall.ge]. ზოგადი სურათისათვის დანართი 1 სახით მოცემულია ბიზნეს სექტორის მდგომარეობა 2007 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

დანართი 4.

	2013	2014	2015	2016	2017	
რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ერთეული	504560	539734	562627	596873	639427	Number of registered enterprises, unit
ბრუნვა, მლნ. ლარი	44327.9	50064.7	56984.8	64081.8	71740.1	Turnover, mln. GEL
გამოშვებული პროდუქცია, მლნ. ლარი	23553.6	26068.6	29993.9	34156.9	38206.8	Output, mln. GEL
დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი	12139.1	12849.5	14761.0	16772.4	19036.3	Value added, mln. GEL
შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი	11414.5	13219.2	15232.9	17384.5	19170.5	Intermediate consumption, mln. GEL
ძირითადი კაპიტალი, მლნ. ლარი	20346.4	23183.9	24829.9	28195.1	34880.5	Fixed assets, mln. GEL
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	550885	592147	626739	666790	708165	Number of employees, person
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	760.1	800.5	896.8	938.3	1019.7	Average monthly salaries and wages, GEL

(სამეწარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები)

1.3 განვითარების სფეროში არსებული გამოწვევები და ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები

დღეს საქართველოში ადგილი აქვს ინოვაციურ კრიზისს, რომელიც დაიწყო ჯერ-კიდევ წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან. კრიზისი გამოვლინდა შექმნილი და წარმოებაში დანერგილი ახალი ტექნიკის რაოდენობის შემცირებაში, რამაც სტიმული მისცა რიგი ნეგატიური ტენდენციების ჩამოყალიბებას. მკვეთრად დაეცა სამრეწველო პროდუქციის, განსაკუთრებით მზა ნაწარმის

კონკურენტუნარიანობა. ღია ეკონომიკის პირობებში სამრეწველო პროდუქციამ დაიწყო კლება არამარტო საგარეო, არამედ შიდა ბაზარზეც. ფაქტიურად შეწყდა

მანქანების და სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტი. მზა პროდუქციის შიდა ბაზარზე ადგილი გაიმყარეს საზღვარგარეთულმა მონოპოლიებმა. მნიშვნელოვანია გამოვყოთ ინოვაციური კრიზისის რამოდენიმე ობიექტური და სუბიექტური მიზეზი:

– საქართველოს ეკონომიკაში, ჭარბობდა მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც ექვემდებარებიან ჩამოწერას რადგან ვერ პასუხობენ კვლავწარმოების თანამედროვე მოთხოვნებს. მსოფლიოში მიმდინარე თვისებრივად ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე გადასვლის ფონზე, საქართველოში პირიქით, ადგილი აქვს წინა საუკუნის 90 იან წლებში არსებული ტექნოლოგიური დონის კიდევ უფრო დაქვეითებას;

– შეიზღუდა ინოვაციური შესაძლებლობები, რაც გამოწვეული იყო ტრადიციული საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების მოშლით, ბაზრის მასშტაბების დაცემთ, წარმოებისა და ინვესტიციების მკვეთრი შემცირებით, ინფლაციის მაღალმა ტემპებით და სხვ. ფაქტორებით.

– ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა. სათანადო მხარდაჭერა არ აქვთ ახალი ტექნოლოგიების შემმუშავებელ და ამთვისებელ წარმოებებს. კერძო სექტორის რესურსები არ მიიმართება ინვესტიციებსა და

ინოვაციებზე საგადასახადო სისტემის მოუქნელობისა და სხვ. ნაკლებ გონივრული ღონისძიებების გამო;

– საზღვარგარეთული მონოპოლიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები გაბატონებულნი არიან სამრეწველო საქონლისა და სურსათის ბაზარზე, რაც ქვეყნის ეკონომიკას მათზე დამოკიდებულს ხდის;

– იმყოფება რა ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე, საბიუჯეტო დეფიციტისა და ზრდადი შიდა და საგარეო ვალის პირობებში, სახელმწიფო თავისთავად ემიჯნება პერსპექტიულ ინვესტიციურ-ინოვაციურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა;

– სამეურნეო კადრების არაკომპეტენტუროაბა, რაც ხელს უშლის ეფექტინად განახორციელონ საქმიანობა ინოვაციურ ბაზარზე.

ფაქტობრივად არ წარმოებს მოცემული სფეროს მენეჯერთა მომზადება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზრის ამ ურთულეს სეგმენტზე დადებითი შედეგის მიღწევა. აღნიშნულის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შეინიშნება გარკვეული ძვრები ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის. ინოვაციებისადმი მხარდამჭერი პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა მოცემულ ბრძოლაში. სწორედ აქედან გამომდინარე ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით პირველი ჩანასახები ჩნდება, რათა დაფუძნებულ იქნას ტექნოლოგიური ინკუბატორები, ვენჩურული ფონდები, ინოვაციური ცენტრები, ჩამოყალიბდეს ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

ინოვაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში. ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება შრომითი საქმიანობის ინტელექტუალიზაცია, მისი მეცნიერებატევადობის გაზრდა; ამასთანავე ფართოვდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების რადიუსი,უმჯობესდება მათი ხარისხი, რაც ხელს უწყობს საზოგადოების მოთხოვნილებების ზრდას და დაკმაყოფილებას; ინოვაციები საშუალებას იძლევა წარმოებაში მოზიდულ იქნას

ახალი მწარმოებლური ძალები, წარმოებულ იქნას საქონელი და მომსახურება მასალების, შრომის, ენერგიის ნაკლები დანახარჯებით ;

ინოვაციათა კონცენტრაცია ამა თუ იმ სფეროში ხელს უწყობს კვლავწარმოების სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანას შეცვლილი მოთხოვნილებების სტრუქტურასთან და გარემოს სტრუქტურასთან; ინოვაციები ასევე ხელს უწყობენ სამეწარმეო საქმიანობას, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის სფეროში, ახალი საქონლისა და ტექნოლოგიების ძიებისა და ათვისებისაკენ, რათა გაიმარჯვონ კონკურენტულ კონკურენცაში, და დაიკავონ ახალი საბაზრო სეგმენტები.

რეფორმის განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსი - სამეწარმეო პოტენციალი, ჩავრთოთ ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ აღორძინებაში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს, მეწარმეობის განვითარება ინოვაციურ სფეროში, რამდენადაც ამ სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ბაზაზე ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტის გარდაქმნა მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონლად.

იმ დროს, როდესაც წარმოების დაცემამ მკვეთრად შეამცირა მსხვილ საწარმოთა მოთხოვნა მაღალ ტექნოლოგიებზე, იზრდება მცირე და საშუალო საწარმოთა როლი, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მობილურობითა და უნარით - მოკლე დროში და ნაკლები დანახარჯებით გამოუშვან პროდუქცია.

მეწარმეობისათვის ინოვაციურობა იმთავითვეა დამახასიათებელია, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეობა იძენს „სოციალური მოვლენის“ ნიშნებს და განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. არსებითად იგი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მცირედანახარჯიან სტრატეგიას. სწორედ, მეწარმეობა გამოდის საზოგადოებრივი წარმოების გადამწყვეტ ფაქტორად მიწასთან, შრომასა და კაპიტალთან ერთად.

ინოვაციური მცირე მეწარმეობა - ეს არის სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის ნაწილი, რომელიც სარგებლობს სახელმწიფო

მხარდაჭერით. იგი მსხვილი ორგანიზაციების საქმიანობისაგან განსხვავებით უფრო თავისუფალ ხასიათს ატარებს და მეწარმეთა იდეებზეა დაფუძნებული. მიმართულია შედარებით კერძო და ლოკალური ამოცანების გადაწყვეტაზე, მეცნიერების სახელმწიფო სექტორთან ურთიერთკავშირში.

ეკონომიკის დინამიური ზრდისთვის, აუცილებელია წარმოების ტრადიციული ფაქტორებითან ერთად, ინოვაციებზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული ეკონომიკური ინიციატივების წახალისება და სწორედ ამისთვის ქვეყნის შედარებითი უპირატესობების სრული გამოყენება. ეს გულისხმობს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე სუბსიდირების პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების მიზანმიმართულ სათანადო პოლიტიკას. აღნიშნული ამოცანების განხორციელების საშუალებად განიხილება ქვეყანაში რეგიონული საინოვაციო სისტემის (რსს) და მისი შემადგენელი კომპონენტების შემდგომი განვითარება .

რეგიონული საინოვაციო სისტემა (რსს) რეგიონული განვითარების ახალი მოდელია, რომელიც შეიძლება ქვეყნის დაბალანსებული და დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ახალ მიმართულებად იქცეს. განასხვავებენ ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ საინოვაციო სისტემებს. არსებითად, რეგიონული საინოვაციო სისტემა წარმოადგენს-რეგიონის შედარებითი უპირატესობების ნიშნით, სამეწარმეო სუბიექტებისა და სხვადასხვა ინსტიტუციების თანამშრომლობის სახეს, რომლის უმთავრესი მიზანი მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება-განვითარებაა. საინოვაციო სისტემის, ცოდნის ეკონომიკისა და მდგრადი ინდუსტრიული განვითარების ძირითად კომპონენტს ახალი ტექნოლოგიები წარმოადგენს. ტექნოლოგიების ტრანსფერი, წარმოადგენს კომუნიკაციის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც ხშირად არის ინტერაქტიული ხასიათის და შეიცავს უკუკავშირის სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც აკავშირებს მიმწოდებლებსა და მიმღებებს. უმეტეს შემთხვევებში, ეს არის საბაზრო პროცესი, როდესაც ტექნოლოგიებს ყიდულობენ და ყიდიან. ამგვარი ტრანსფერები, როგორც წესი, ხორციელდება

ერთი მხრივ, მეცნიერებასა და კვლევის სექტორს შორის და მეორე მხრივ, სამეწარმეო სექტორს შორის.

ბოლო წლებში ბიზნესში ჩადებული კვლევისა და განვითარების დანახარჯები ინოვაციის ყველაზე მნიშვნელოვან განმსაზღვრელად გვევლინება. ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან კერძო სექტორში კვლევისა და განვითარების დანახარჯების მიხედვით, მაგრამ უმეტეს ქვეყნებში, ბიზნეს-სექტორში განხორციელბულმა კვლევამ და განვითარებამ სახელმწიფოს მხრიდან სოლიდური მხარდაჭერა მიიღო მასტიმულირებელი ზომებისა და გადასახადების შემცირების სახით. დროთა განმავლობაში იცვლებოდა სახელმწიფოს ჩარევის ფორმები და მიდგომები, რაც გამოიხატა პირდაპირი მონაწილეობიდან არაპირდაპირ მონაწილეობაზე გადასვლაში.

ინოვაციური პოლიტიკის მთავარი ყურადღება გამახვილებულია ნოვატორობის უნარსა და წარმოების ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის ინვესტიცია კვლევასა და განვითარებაში, სამეცნიერო დაწესებულებები, პიროვნული რესურსები და სოციალური კაპიტალი და სხვა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძლერი ეკონომიკის მქონე პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ეროვნული კონკურენტულობის ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული საინოვაციო სისტემის განვითარებას. საქართველოში რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს რეგიონული საინოვაციო სისტემის თანმიმდევრული განვითარების, რეგიონების შედარებითი უპირატესობების ეფექტიანი გამოყენებისა და სისტემური თანამშრომლობის საფუძველზე ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ტექნოლოგიური წინსვლა ზრდის ქვეყნებს შორის კონკურენციის მასშტაბებსა და სისწრაფეს, რომელშიც წამყვან როლს კონკურენტული ცოდნა და ინოვაციების შექმნის შესაძლებლობა თამაშობს. მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე მიმართული პოლიტიკის შემუშავება .ასეთი მიდგომა შანსს მისცეს ქვეყანას,

გამოიყენოს საკუთარი შედარებითი უპირატესობები, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და დაეხმაროს სამეწარმეო საქმიანობას განვითარებაში. ვინაიდან ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიები ამცირებენ ტრანზაქციის ხარჯებს და მატებენ დამატებით ღირებულებას პროდუქტსა და მომსახურებას, ისინი მიიჩნევა, საერთო ეროვნული წარმატების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტებად. წინა პლანზე იწევს ისეთი შედარებითი უპირატესობები, როგორებიცაა სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა და საინოვაციო სისტემის განვითარება.

სახელმწიფო საინოვაციო სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა და ჩარევის დონე, პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო სტრუქტურები და, მათ შორის, კოორდინაციის მექანიზმები, საინოვაციო სისტემის შემადგენელი ნაწილები და შესაბამისი ინსტიტუტები. საინოვაციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს:

ა) რეგიონული საინოვაციო სისტემის (რსს), როგორც რეგიონის ეკონომიკური გაძლიერების ახალი მოდელის დანერგვა;

ბ) იმ ინიციატივების მომზადება, წახალისება და დაკავშირება , რომლებიც ხელს შეუწყობს საინოვაციო პროცებს და მეწარმეობას, წარმოქმნის კონკურენტუნარიან პროდუქტებსა და მომსახურებას ჩვენს რეგიონებში;

გ) ისეთი ინსტიტუციებისა და მომსახურების ქსელის შექმნა/წახალისება, რომლებიც მხარს დაუჭერენ და დააკავშირებენ კერძო,საჯარო და აკადემიურ სექტორებს ტექნოლოგიური ინოვაციების, ნოვატორული ცოდნის და მათი კომერციალიზაციის პროცესში;

დ) კვლევა-განვითარების ერთიანი ეროვნული პოლიტიკის განხორციელება; კვლევებისა და განვითარების ინფრასტრუქტურის დაფინანსების გაზრდა;

ე) სამეწარმეო სუბიექტების, კვლევებისა და განვითარების ინსტიტუციების სივრცითი კონცენტრაციის წახალისება ქვეყნის რეგიონებში;

ვ) ცოდნის შემომტანი ინსტიტუტების (უნივერსიტეტები, ტრე-ნინგცენტრები,

და ა.შ.) მხარდაჭერა.

ზ) რეგიონული კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტები და სხვ.), ასევე სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც ამცირებენ თანაფარდობას მიწოდებასა და მოთხოვნას შორის;

თ) საინოვაციო სისტემის ელემენტების თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა განსაკუთრებული ქსელური პროცესების საშუალებით [ე. გობეჯიშვილი, 2013].

საჭიროა, ინოვაციების წახალისება სახელმწიფო შესყიდვებითა და საჯარო და კერძო სექტორებს შორის ტექნოლოგიების ტრანსფერის შექმნით. კონკრეტულად, უნდა მოხდეს ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია, რომელთაც შეეძლება ხელი შეუწყოს ტექნოლოგიურ ტრანსფერს საჯარო კვლევით ინსტიტუციებსა და კერძო სექტორში; უნდა გაიზარდოს კვლევებში ინვესტირებული საჯარო რესურსების მოცულობა და მათი პროდუქტიულობა. ამასთან უნდა მოხდეს ინოვატორების ცოდნის ნაკადის შეფასება და ბიზნესსექტორისა და საგანმანათლებლო სექტორის თანამშრომლობის მხარდაჭერა . აუცილებელია სამეცნიერო საქმიანობის და სამეცნიერო ტექნიკური საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით აქტიური პოლიტიკის შემუშავება; სამეცნიერო პროდუქტის გავრცელების ხელშეწყობა; ქვეყანაში მიმდინარე კვლევებისა და განვითარების სამუშაოების, შემუშავებული ტექნოლოგიებისა და პერსპექტიული სამეცნიერო კვლევების სრულფასოვანი აღრიცხვა და გავრცელება; შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა. რეგიონული საინოვაციო სისტემის კონსოლიდაციის მთავარ ინსტრუმენტად რეგიონული საინოვაციო ცენტრების (რსც) ჩამოყალიბება გამოდის , რომლებიც უზრუნველყოფენ:

- კვლევის შედეგების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კვლევით ცენტრებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის შუამავლობას;

- კვლევითი ლაბორატორიების საქმიანობის შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზით მომარაგების ხელშეწყობას;

- მეცნიერული და ტექნოლოგიური წინსვლების, პატენტების, პროტოტიპების, ნოუ-ჰაუს, ლიცენზიების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას;

- კოოპერაციული კავშირების შექმნის ხელშეწყობას მცირე და საშუალო ბიზნესსა და დიდ სამეწარმეო სუბიექტებს შორის საინოვაციო გეგმების განსახორციელებლად;

- ადგილობრივ საშუალო და მცირე ბიზნესის უცხოელ ინვესტორებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერას;

- ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის შესაძლებლობათა შესწავლას და ათვისებას;

- ერთობლივი კვლევებისა და პროექტების წახალისებას სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების მიერ;

- კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზებას ახალი ტექნოლოგიების სფეროში;

- პირდაპირი რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინიცირებას ინოვაციე ბისა და მეწარმეობის სფეროში [ე. გობეჯიშვილი, 2013]. დღეს საკამათო არ არის მცირე მეწარმეობის როლი ეკონომიკის განვითარებაში. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, არის დასაქმების მნიშვნელოვანი სფერო, რითაც ხელს უწყობს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას; ზრდის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, ამცირებს სიღარიბეს და არის სოციალური პრობლემების გადაჭრის ქმედითი ინსტიტუტი. გარდა ამისა, საქმიან ურთიერთობებში მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს თამაშობს. განსაკუთრებით კი, მნიშვნელოვანია მცირე ბიზესის როლი ეკონომიკაში როგორც კონკურენციის უზრუნველყოფის და მსხვილი ბიზნესის განვითარების პირობა. იგი ღირებულების ჯაჭვის ზრდაში უზრუნველყოფს მსხვილი კორპორაციების მობილურ მოქმედებას და ეფექტური ინსტიტუტია მსხვილი კომპანიებისთვის

მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაში. მათი საქმიანობით, საბაზრო ნიშების შევსების ხარჯზე კმაყოფილდება საზოგადოების ის მოთხოვნები, რომელსაც იგნორირებს მსხვილი და საშუალო ბიზნესის საწარმოები, მცირე მინიმალური მასშტაბის ეფექტის გამო. ასეთი საწარმოების სპეციალიზაციის შესაძლებლობა დიდია და მსხვილ კომპანიებთან შედარებით უპირატესი როლი ენიჭება, როდესაც საქმე დამხმარე წარმოებას ეხება. მათი მოქნილობა ინოვაციური განვითარების საშუალებას იძლევა, რადგან დაბალი რისკებით ახდენენ ტექნოლოგიური, ტექნიკური, ორგანიზაციული სიახლეების დამუშავებასა და დანერგვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია მსხვილი საწარმოების ფუნქციონირება. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ხშირად „ფარულ ჩემპიონებსაც“ უწოდებენ, რადგან მათი წილი მსოფლიო ბაზარზე 50 პროცენტზე მეტს შეადგენს, მათი საქონელი და მომსახურება „უხილავი“ ან ნაკლებად შესამჩნევია, ახასიათებთ გამძლეობისა და სიცოცხლიუნარიანობის მაღალი დონე, გააჩნიათ მნიშვნელოვანი საექსპორტო წილი, არიან გლობალური კონკურენტები და დიდ წვლილი შეაქვთ ქვეყნის წარმატების ბალანსში (გველესიანი 1999: 22).

საქართველოს კანონმდებლობით „მცირე მეწარმეობის“ ცნება არ არის განსაზღვრული. ზოგადად, მეწარმეობა მცირე მასშტაბებით, რომელიც გულისხმობს საკუთარი და საბრუნავი კაპიტალის ოდენობას, თანამშრომელთა რაოდენობას, ბაზრის წილის ფლობას და გამოშვებული პროდუქტის მოცულობას, არის მცირე ბიზნესი. ასეთი სახის განმარტებები სრულიად არ ასახავს მის როლს და ადგილს საზოგადოებაში, რამდენადაც იგი აქცენტირებულია მხოლოდ რაოდენობრივ ზომაზე და არა მის თვისებრივ მდგომარეობაზე. განსხვავებული დამოკიდებულებებია მცირე მასშტაბით ბიზნესის განსაზღვრისადმი. ძირითადად, ქვეყნების კანონმდებლობები ამოდის იმ კრიტერიუმების განსაზღვრით, რომელთა საფუძველზე ხდება ამა თუ იმ საწარმოს მცირე ბიზნესის სფეროსადმი მიკუთვნება. ევროპის ქვეყნებში სამეწარმეო სუბიექტებია მიკროსაწარმოები, მცირე, საშუალო

და მსხვილი საწარმოები. მცირე და საშუალო საწარმოებს კი მიეკუთვნება - მიკროსაწარმოები, სადაც დასაქმებულია 1-დან 9-მდე ადამიანი, მცირე საწარმოებში დასაქმებულია 10-დან 49-მდე ადამიანი; საშუალო საწარმოებში - 50-დან 249-მდე ადამიანი და მსხვილი საწარმო, სადაც მუშაობს 250 და მეტი ადამიანი (თეთრუაშვილი http://www.nplg.gov.ge/--).

თავი 2. ინოვაციური მეწარმეობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

2.1 ინოვაციური მეწარმეობის განვითარების სამთავრობო პროგრამები და სახელმძღვანელო სტრატეგიული დოკუმენტები

გამართული ინოვაციის მექანიზმი ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის ამოძრავებას და ისეთ სოციო-ეკონომიკურ სირთულეების დაძლევას, როგორიცაა სიღარიბე და ჯანდაცვის პრობლემები. ეკონომიკური ზრდის დამაჩქარებელი ინოვაციები ასევე მიმართულია სოციალურ პრობლემების გადაჭრაზე. მაგალითად, სიღარიბის შედეგებმა შესაძლოა არსებითი ზეგავლენა იქონიოს სამეწარმეო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობებზე (მაგ. ცუდი ჯანმრთელობა ამცირებს სამუშაო ძალის შრომის მწარმოებლურობას), ამგვარად, სოციალურ გამოწვევებზე მუშაობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ეკონომიკური ზრდის პროცესსაც.

ცნობილია, რომ ინდოეთის „მწვანე რევოლუციის“ დროს, (1960-იან წლებში) ჰქონდა ინოვაციების შედეგად მაღალმოსავლიან ნათესთა განახლებული ვარიანტებში, სასუქთა ახალ სარწყავ სისტემათა დანერგვასთან ერთად, არსებითად გაიზარდა მარცვლეულის პროდუქციის მოსავლიანობა. ამან კი, თავის მხრივ, პირდაპირ იმოქმედა ქვეყანაში სიღარიბის შემცირებაზე[5].

მიუხედავად ინოვაციის ცნობილი დემონსტრირებული, დაუყოვნებლივი და ასევე გრძელვადიანი სარგებლისა განვითარებადი ქვეყნებისთვის, ინოვაციის რელევანტურობა ამ ქვეყნების ეკონომიკისათვის ზოგჯერ მაინც კითხვის ქვეშ დგება. ამგვარი აზროვნება ხშირად ეფუძნება ინოვაციის, როგორც მხოლოდ „ჰაი-ტექ“-ის ვიწრო გააზრებას. მხოლოდ მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიებზე ფოკუსირება შესაძლოა ძვირადღირებული იყოს სახელმწიფოსათვის, თუკი სხვა სექტორებში ინოვაციის პოტენციალის იგნორირება ხდება. ქვეყნები შესაძლოა

[5] Innovation for Development A DISCUSSION OF THE ISSUES AND AN OVERVIEW OF WORK OF THE OECD DIRECTORATE FOR SCIENCE, TECHNOLOGY AND INDUSTRY May 2012

დაზარალდნენ კიდეც მაღალი ხარჯებით იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ინოვაციურ სამიზნედ აირჩევენ ისეთ სექტორს, რომელიც საჭიროებს იმ ექსპერტულ პროფესიონალიზმს რომელიც მოცემულ ქვეყანას არ გააჩნია, ექსპერტულ ცოდნას, რომელიც უკვე ძალიან მაღალკონკურენტულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში.

თუმცა, ინოვაციებს აქვს ადგილი სერვისის სფეროში, სასოფლო მეურნეობასა და მეშახტეობაშიც. ინოვაციის მრავალი შესაძლებლობა სწორედ დაბალტექნოლოგიური სექტორებიდან წარმოიშვა, რომელთაც ექსპორტის დიდი შესაძლებლობები გააჩნდა. ამის მაგალითს წარმოადგენს პალმის ზეთისა და მისი პროდუქციის წარმოება მალაიზიაში. გარდა ამისა, სასოფლო მეურნეობაში ინოვაცია განსაკუთრებით რელევანტურია სოციო-ეკონომიკურ გამოწვევებზე საპასუხოდ და ამავდროულად ქვეყნის ეკონომიკის გასაზრდელად.

როგორც უკვე აღინიშნა, ინოვაცია არსებითი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისათვის, რამდენადაც იგი არის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. სწორედ ეს წარმოადგენს OECD/World Bank-ის პუბლიკაციის, „Innovation and Growth“-ის მთავარ თემას: „Chasing a Moving Frontier“.

Innovation and the Development Agenda, რომელიც „OECD ინოვაციის სტრატეგიის“ კიდევ ერთ კვლევით პუბლიკაციას, რომელშიც აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს ინოვაცია საერთაშორისო განვითარების პოლიტიკის დღის წესრიგის მთავარი პრიორიტეტი. „Integrating Science and Technology into Development Policies: An International Perspective“ იკვლევს ინოვაციის სხვადასხვა პოტენციურ წვლილს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს განვითარებაში. იგი ძირითადად ფოკუსირდება ახალი ტექნოლოგიების პირდაპირ როლზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია წყლისა და ელექტროენერგიის ეფექტური გამოყენება. გარდა ამისა, ამავე პროგრამის მიერ 2009 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია დაწვრილებით აღწერს აღნიშნულ საკითხებს, ფოკუსირდება რა ინოვაციაზე, როგორც ინფექციური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებაზე. ასევე, the Global Science Forum (GSF)-მაც შეიტანა საკუთარი წვლილი ამ საკითხის გადაჭრის მცდელობაში, იმ კითხვასთან დაკავშირებით, თუ როგორაა შესაძლებელი განვითარებულ და

განვითარებად სახელმწიფოებს შორის სამეცნიერო კვლევითი თანამშრომლობის გზით OfficialDevelopment Assistance (ODA)-ს ოპტიმიზაცია. აქ აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ შეიძლება უფრო მეტად თანასწორი პარტნიორობების დამყარება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის - მდგრადი განვითარების ხელშეწყობის კუთხით, რათა განვითარებულმა ქვეყნებმაც უფრო მეტი სარგებელი ნახონ ამგვარი კვლევითი თანამშრომლობისაგან.

როგორც OECD-ს დოკუმენტშია აღნიშნული, რომელიც „ინოვაციას და განვითარებას“ სხვადასხვა ასპექტში განიხილავს[6], არსებობს ვაჭრობის ღიაობის (გახსნილობის) და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სარგებლიანობის დამადასტურებელი დემონსტრირებები, განვითარებად ქვეყანათა ინოვაციურ ტენდენციებთან მიმართებაში:

- პირველი, ბაზრების გახსნა უცხოელ კონკურენტთა პროდუქციისათვის, წარმოადგენს კონკურენციის გაძლიერებისა და შინაურ მწარმოებელთა საბაზრო ძალის შემცირების მძლავრ საშუალებას. ფირმებიც ასევე რეაგირებენ კონკურენციაზე სრული ფაქტორული პროდუქტიულობის ზრდითა და ინოვაციებით.

- მეორე, ღიაობა ახდენს უცხოურ ტექნოლოგიებზე წვდომის ფასილიტაციას.

- მესამე, ვაჭრობის ინტეგრაცია საშუალებას აძლევს ქვეყნის ეკონომიკას, სპეციალიზირდეს კონკრეტულ სფეროში.

- მეოთხე, ვაჭრობის ღიაობა იწვევს ეკონომიკათა სპეციალიზაციას იმ სექტორებში, რომელთაც შედარებითი უპირატესობა გააჩნიათ და ამდენად, აქვთ უნარი, ხელი შეუწყონ ქვეყნის წარმოებისა და ინოვაციურ სტრუქტურათა რეკონსტრუქციას, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით[7].

[6] Innovation for Development A DISCUSSION OF THE ISSUES AND AN OVERVIEW OF WORK OF THE OECD DIRECTORATE FOR SCIENCE, TECHNOLOGY AND INDUSTRY May 2012

[7] Innovation for Development A DISCUSSION OF THE ISSUES AND AN OVERVIEW OF WORK OF THE OECD DIRECTORATE FOR SCIENCE, TECHNOLOGY AND INDUSTRY May 2012

2.2ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით ჩატარებული რეფორმების შეფასება

პროექტი მხარს უჭერს საქართველოში ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან (DCFTA-სთან) დაკავშირებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმების დანერგვას. ეს საფუძველს უყრის მცირე და საშუალო ბიზნესის გამყარებას ფართო ზრდის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ახალ ნორმატიულ პირობებთან ადაპტირების უზრუნველსაყოფისათვის, რაც საშუალებას აძლევს მას, გამოიყენოს შესაძლებლობები DCFTA-ს ფარგლებში.

მიზნები

სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის გაძლიერება, რაც მოიცავს ისეთი თემების ადვოკატირებასა და ლობიერებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მცირე და საშუალო მეწარმეობაზე DCFTA-ს კონტექსტში და ასევე, ყურადღებას ამახვილებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სააგენტოების, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ბიზნეს ასოციაციების ქმედით მონაწილეობაზე;

მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორისთვის პროფესიული ტექნიკური დახმარებისა და ბიზნესის განვითარებისკენ მიმართული სერვისების (ტრენინგი, ინფორმაციის მიწოდება, პრაქტიკა, წვრთნა, საერთაშორისო კავშირების მხარდაჭერა) გაუმჯობესების ხელშეწყობა, მათ შორის, კლასტერინგის, ქსელური და საქმიანი თანამშრომლობის ინიციატივების მხარდაჭერის გზით;

იმ სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფა, რომლებიც მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისა და DCFTA-სთან მიმართებაში ბიზნესის ხელმშემწყობ ინსტიტუციონალურ ჩარჩოს წარმოადგენენ. ეს მიმართულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისკენ ცენტრალურ, სექტორულ და ადგილობრივ დონეზე;

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის დაკავშირება ევროკავშირთან და მეწარმეების ინტეგრირება ევროკავშირის ბიზნეს სექტორში, მათ შორის, კლასტერებში, ინოვაციურ და სამეწარმეო ქსელებში (მოიცავს მცირე და საშუალო საწარმოთა კლასტერებისა და ქსელების შექმნის ხელშეწყობას ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან, ბიზნეს სერვისების მიმწოდებელ ასოციაციებთან და დაინტერესებულ სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად).

აქტივობები

-მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სერვისების შემუშავების პროცესში დახმარება;

-საქართველოს კერძო და საჯარო სექტორში საქმიანი თანამშრომლობისა და კლასტერული განვითარების პრინციპების დანერგვა;

-საქართველოში საერთაშორისო კავშირების განვითარების პოტენციალის მქონე ბიზნეს კლასტერების შექმნა;

-ევროპული კლასტერების პოტენციალისა და უპირატესობების გაცნობა;

ქართული და ევროპული კლასტერების დამაკავშირებელი ღონისძიებები, რომლებიც აძლიერებენ მათ შორის თანამშრომლობას, მაგ. სასწავლო ტურების/ორიენტაციის ორგანიზების მეშვეობით.

DCFTA-ს საკითხებთან დაკავშირებული საერთო საინფორმაციო და საკომუნიკაციო პაკეტის შექმნა პარტნიორ ორგანიზაციებთან.

შედეგები

- -საქართველოს მთავრობის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;
- -ექსპორტის განვითარების სტრატეგია - შეიქმნა ღირებულებათა ჯაჭვის შერჩევის, -ანალიზისა და განვითარების საქართველოს კონტექსტზე მორგებული უნიკალური მეთოდოლოგია (LUPA);
- -შემუშავდა ექსპორტზე ორიენტირებული 4 ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების სამოქმედო გეგმები;
- ინიცირებულ იქნა ტანსაცმლის წარმოების სექტორის განვითარების ეროვნული სტრატეგია;
- შეიქმნა DCFTA.GOV.GE – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი DCFTA-ს შესახებ და მისი მართვა გადაეცა სამინისტროს;
- შეიქმნა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ახალი სერვისი - DCFTA საინფორმაციო ცენტრი, ოფისებით გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში, რომელთაც 4 ადგილობრივი ექსპერტი უძღვება;
- ელექტრონული კომერცია - შემუშავდა სტრატეგია და გადაეცა სსიპ-ს „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს. საპილოტე პროექტი; შერჩეულ კომპანიებისთვის შემუშავდა ბიზნეს გეგმები;
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები მომზადდა EFQM Journey to Excellence-ის მართვის მოდელის მიხედვით;
- გაიმართა კლასტერული განვითარების პოლიტიკის შესახებ ვორკშოპები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სსიპ „აწარმოე

საქართველოში“, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად;

- შეიქმნა საქართველოს კლასტერების პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი და პროგრამის მომზადების გზამკვლევი;
- დაარსდა საქართველოს კინოკლასტერი. შეიქმნა კლასტერის ბრენდინგი და ვებგვერდი. კლასტერის ოთხმა წევრმა გაიარა ტრენინგი ერიხ პომერის ინსტიტუტში. კლასტერის ერთმა წევრმა მიიღო მონაწილეობა კინოაგენტების სკოლა SOFA-ს სასწავლო პროგრამაში. პროექტმა ხელი შეუწყო კლასტერის წევრების საერთაშორისო კონტრაქტების გაფორმებას, მათ მონაწილეობას საერთაშორისო კინოფესტივალებსა და ბაზრობებში;
- დაარსდა ქართული ავეჯის კლასტერი. შემუშავდა კლასტერის ბრენდინგი და ვებგვერდი. მოხდა მწარმოებლების დაკავშირება ინტერიერის დიზაინერებთთან - განხორციელდა ერთი ერთობლივი პროექტი, მეორე პროექტი გეგმაშია. კლასტერის წევრების ერთობლივმა განაცხადმა გაიმარჯვა საჯარო შესყიდვის ტენდერში;
- დაარსდა საქართველოს აისითი კლასტერი – შეიქმნა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. შეიქმნა კლასტერის ვებგვერდი;
- ტანსაცმლის წარმოება – 4-მა კომპანიამ გააუმჯობესა ბიზნეს სტანდარტები და პროცესები amfori BSCI აუდიტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ერთმა კომპანიამ წარმატებით გაიარა აუდიტი და მიიღო უმაღლესი „A Grade“ შეფასება.
- საკალმახე მრეწველობა – პროექტის ფარგლებში ჩატარდა შეფასება სექტორის განვითარების მოკლე და საშუალოვადიანი პერსპექტივების შესახებ. შემუშავდა ექსპერტული დოკუმენტი ადგილობრივი ფერმერებისთვის: „კალმახის დაავადებათა ნიშნები, მათი დოკუმენტირება და მკურნალობის შესაძლებლობები.“
- შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები ევროკავშირში ქართული თაფლის ექსპორტის შესახებ და მიეწოდა სამთავრობო და ევროკავშირის პარტნიორებს;

პროექტმა მხარდაჭერა გაუწია ევროპის მეწარმეთა ქსელის პირველი საინფორმაციო დღის ჩატარებას, რომელიც ორგანიზებული იყო სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან და ევროპის მეწარმეთა ქსელთან პარტნიორობით და რომელშიც მონაწილეობა დაახლოებით 100-მა მცირე და საშუალო მეწარმემ მიიღო.

დაფინანსდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ DCFTA-ს კონტექსტში“ (2016).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერა მცირე და საშუალო მეწარმეებთან კომუნიკაციისა და მათი ინფორმირებულობის მიმართულებით - მომზადდა პრომო ვიდეო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესახებ. ჩატარდა ხუთი საჯარო ღონისძიება თბილისსა და რეგიონებში სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესახებ. გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამი პუბლიკაცია.(http://www.eu4business.eu/ka/programme/mcire-da-sashualo-mecarmeobis-ganvitareba-da-dcfta-sakartveloshi)

2.3ინოვაციური მეწარმეობის განვითარები ახალი მექანიზმები და არსებულის სრულყოფის გზები

აქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე, შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ მიბმულია საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის დაბალი დონე. ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია და დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 (GII) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) საქართველოს 44-ე ადგილი უკავია.

131 ქვეყანას შორის. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013-2014 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

• ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118-ე ადგილი;

• კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი. დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

• უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა - მე-100 ადგილი;

• ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ - 117-ე ადგილი. არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მოსახლეობის მიერ კომუნიკაციის ამ საშუალების გამოყენების დონე კვლავ არადამაკმაყოფილებელია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (2013-2014) საქართველოს შედარებით უკეთესი, თუმცა არასათანადოდ კარგი პოზიციები აქვს:

• მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება - 71-ე ადგილი;

• 100 მოსახლეზე მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის ქსელზე ხელმისაწვდომობა - 65-ე ადგილი. ქსელური მზადყოფნის ინდექსის (Networked Readiness Index -NRI) მიხედვით 2013 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება.

კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მთავრობა ხელს შუწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც, თავის მხრივ მოიცავს როგორც გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობას მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდით, ასევე, სხვა ინსტრუმენტების შემუშავების მეშვეობით. მთავრობა ასევე ხელს შეუწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან. კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, ხელი შეეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავებას გამოყენებითი

კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ასევე პრაქტიკაში დანერგვის (კომერციალიზაციის) ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ინოვაციის მხარდაჭერისთვის, მთავრობა ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინკუბატორები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას. ამასთან, მოხდება კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის.(https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf)

ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში მცირე და საშუალო საწარმოების წვლილსა და მათ შესაძლებლობებზე ყურადღების გასამახვილებლად 2000 წელს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის მიერ მოწვეულ კონფერენციაზე ხელი მოეწერა „ მცირე და საშუალო საწარმოების „ მიმართ პოლიტიკის ქარტიას „ რადგან ასეთი საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნის, რეგიონალური განვითარების, ახალგაზრდობის ბიზნესში ჩართვისთვის. აღნიშნული პოლიტიკის ამგვარი პრიორიტეტულობა მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში მცირე და საშუალო საწარმოების იმ განსაკუთრებულ როლზე აკეთებს აქცენტს, რითაც ისინი განვითარებაში მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ მათი ადაპტაციის უნარით, დინამიზმით, სამუშაო ადგილების შექმნით, მშპ-ში მონაწილეობით და იმ ყველასთვის ცნობილი ფაქტებით, რომლის მიხედვით ბევრი რევოლუციური ინოვაცია მათ წიაღში დაბადებულა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ ზემოთ აღნიშნული ქარტიით ქვეყნებს მოუწოდა მცირე და საშუალო საწარმოებისადმი საფინანსო და არასაფინანსო დახმარებების სრულყოფაზე მუშაობისკენ. ეს დახმარებები დაწყებული 2000 წლის აღნიშნული დოკუმენტით, გაძლიერებული ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ლისაბონის სტრატეგიით და 2008 წელს

მცირე ბიზნესის აქტით ევროპისთვის და „ ევროპის 2020 წლის გეგმით“ მრავალმხრივია.

ევროკავშირი მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისთვის იყენებს აშშ-ს გამოცდილებას, სადაც მთელი რიგირ შეღავათები და უპირატესობები ენიჭება ამ ტიპის საწარმოებს.

როგორც ჩანს, ქვეყნების ყურადღებას ამახვილებენ და ესწრაფვიან მათი დახმარების გაწევას. ამასთანავე ირკვევა რომ ყველა წარმატებულ ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოები ისეა განსაზღვრული, რომ მათი პროდუქცია მშპ-ს 40-75% - ის ფარგლებში მერყეობს. ამ მონაცემებთან შედარებით საქართველოს და ყოფილ საბჭოთა კავშირის მონაცემები მკვეთრად განსხვავებულია, თუმცა აქ აუცილებლოად უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებულია მცირე და საშუალო საწარმოების კატეგორიისთვის მიკუთვნების კრიტერიუმები ევროკავშირისა და სხვა ქვეყნებში სტატისტიკური კანონზომიერებების და პოლიტიკური მიზანშეწონილობის კომბინაციის საფუძველზე იქმნება. ევროკავშირის ქვეყნებში ერთიანი განსაზღვრებაა ამ საწარმოების და ეყრდნობა მომუშავეთა რიცხოვნობას, წლიურ ბრუნვას და საბალანსო ღირებულებას (თუმცა გაითვალისწინება დარგის სპეციფიკაც). რაც შეეხება საქართველოს 2011 წლის იანვრიდან შემოღებულია მიკრო საწარმოს ცნება, ამიტომ შეიცვალა მცირე საწარმოს განსაზღვრებაც, რომლის მიხედვით ბრუნვის მაჩვენებელი 100 ათას ლარამდე გაიზარდა წელიწადში, მომუშავეთა რაოდენობის მაჩვენებელი კი აღარ გამოიყენებოდა. საშუალო საწარმოს მიმართ არაფერი შეცვლილა, ხოლო საბალანსო ღირებულების მაჩვენებელი არ გამოიყენება, რადგან მიკროსაწარმოების ცნება 2011 წლამდე საქართველოში არ არსებობდა.

ევროპის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებების მიმართულებებია: კადრების მომზადება - გადამზადება, გაკოტრების და კონკურენციის წესების გამარტივება, კრედიტის წვდომის გამარტივება, დაბეგვრის შემსუბუქება (მაგ, ევროპარლამენტი და ევროკომისია შეთანხმდნენ 500 00 ევროს ბრუნვის მქონე მიკრო-ბიზნესების საგადასახადო დეკლარაციების წარდგენისაგან) . სახელმწიფოების და ევროკავშირის მიერ დაფინანსების მიმართვა მიკრო, დამწყები და ინოვაციური საწარმოებისთვის, კონსულტაციების და ინფორმაციის

მიღების გაადვილება. ამგვარი დახმარებები მიმართულია ინოვატორი, სწრაფადმზარდი კომპანიებისთვის, რომლებიც ახალ ბიზნეს-სქემებით თუ ახალი ტექნოლოგიით ინოვაციური მცირე საწარმოს კატეგორიაში არიან გამოყოფილი ევროკავშირში.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან დახმარების ერთ-ერთი მოტივი, მათი ინოვაციური ეფექტიანობაა. კარგადაა ცნობილი ისეთი კომპანიების ისტორია, როგორიცაა Apple, Google, Skype. სინამდვილეში, ამ ცნობილი შემთხვევების გარდა, მსოფლიოში არსებობს ათი ათასობით (შესაძლოა ასი ათასობით) წარმატებული კომპანია, რომელიც თავის დროზე დამწყებ ინოვატორად მოგვევლინა. ფაქტიურად სწრაფად მზარდი კომპანიები ყოველთვის ინოვაციურია - მათი განვითარების საფუძველი ან ახალი ტექნოლოგიაა, ან ახალი ბიზნეს-სქემა. ევროკავშირში ასეთი კომპანიები გამოყოფილია სპეციალურ კატეგორიებად, რომელსაც ინოვაციურ მცირე საწარმოებს უწოდებენ. ისინი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

- ბოლო სამი წლიდან კვლევასა და შემუშავებაზე გაწეული ერთ-ერთი წლის ხარჯებუ უნდა აღემატებოდეს ბრუნვის 15 % -ს.
- ევროკავშირის შესაბამისმა წევრმა-სახელმწიფომ (მისმა კომპეტენტურმა სააგენტომ) უნდა დაადასტუროს, რომ საწარმოს პროდუქცია და მუშაობის მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე.
- საწარმო ახალგაზრდა უნდა იყოს - მისი ასაკი დაფუძნებიდან 6 წელს არ უნდა აღემატებოდეს.,

ამგვარი საწარმოების ხელშეწყობა რეგულირდება სახელმწიფო დახმარების შესახებ კანონმდებლობით (2006) , რომელიც განსაზრვრავს, პატიოსანი კონკურენციის წესების დაურღვევლად რა დახმარების გაწევაა დასაშვები კერძო საწარმოებისთვის, ნებადართული დახმარების მიმართულებები შემდეგია:

- კერძო საწარმოების მონაწილეობა საზოგადოებრივი სახსრებით დაფინანსებულ კვლევისა და შემუშავების პროგრამებში (როგორც ეროვნულ, ასევე საერთო ევროპულში):

- ეროვნული და საერთოევროპული საჯარო ფონდებიდან მსს-თვის წინასაპროექტო კვლევისა და ტექნიკური დავალების შესადგენი ხარჯების დაფარვა
- ეროვნული და საერთოევროპული საჯარო ფონდებიდან მსს მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოსაპოვებლად საჭირო ხარჯების დაფარვა
- ახალგაზრდა მცირე ინოვაციური საწარმოების საინოვაციო პროექტების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა:
- მომსახურების სფეროში მოქმედი მსს საინოვაციო პროცესებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვა
- ინოვაციის სფეროში მოქმედი საკონსულტაციო და სხვა მხარდამჭერი სამსახურების (ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოპარკების და სხვა) ხარჯების დაფარვა
- მსს საინოვაციო პროცესების უზრუნველსაყოფად საჭირო უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების უნივერსიტეტებიდან ან დიდი საწარმოებიდან მოსაზიდად საჭირო ხარჯების დაფარვა
- საინოვაციო კლასტერების შესაქმნელად საჭირო კვლევისა და საორგანიზაციო სამუშაოების ხარჯების დაფარვა.

მცირე საწარმოთა შორის ევროკავშირი გამოყოფს სწრაფად მზარდ საწარმოებს, რომელთა ზრდის წყარო, უმთავრესად, ინოვაციაა. ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, ამ კატეგორიას მიაკუთვნებენ საწარმოებს, რომლებსაც ახასიათებს სამი ან მეტი წლის განმავლობაში წლიური 20 % - იანი ზრდა, საერთო ასაკი 5 წლამდე. ათვლის დაწყების მომენტისათვის წლიური შემოსავალი არა ნაკლებ 100 000 ა.შ.შ დოლარისა. მათი ზრდის წყარო ინოვაციაა, მაგრამ არა აუცილებლად რადიკალური (ანუ მაღალტექნოლოგიური, რომელიც, სტატისტიკის ტანახმად, ასეთ საწარმოთა მხოლოდ 5 % -ს ახასიათებს) . უმრავლეს შემთხვევაში ინოვაცია ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში. ესშეიძლება იყოს ახალი ბიზნეს-მოდელები, მართვის პრაქტიკა, ადმინისტრირების სქემები. ამოცანაა სწრაფად მზარდი საწარმოების აღრიცხვა, წარმოჩენა, დახმარების გაწევა. უნდა აღინიშნოს,

რომ, თუმცა აღიარებულია ამ კატეგორიის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამუშაო ადგილების შექმნისა და ზრდისთვის. მათ მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკა ჯერ შემუშავების პროცესშია. საკითხი ინტენსიური კვლევის საგანია.

კვლევის წვდომა მსს ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ევროპულ დონეზე მისი წყარო კვლევის ევროპულ ჩარჩო პროგარმებში მონაწილეობაა, ეროვნულ დონეზე - კვლევისა და შემუშავების ეროვნულ პროგრამებში. ხოლო რეგიონულ დონეზე - ევროპული სტრუქტურული ფონდების მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობა. გარდა გრანტებისა, რომელიც საწარმომ ხსენებული პროგრამებიდან შეიძლება მიიღოს, ევროკავშირში პრაქტიკაშია კვლევითი სამუშაოებისათვის ხარჯების შეღავათიანი დაბეგვრა. ევროპის მრავალ ქვეყანაშ კვლევის საკუთარი ძალებით შესრულების ან საწარმოს გარეთ დაკვეთის (მაგ;უნივერსიტეტში) შემთხვევაში. დახარჯული თანხები შეღავათიანი განაკვეთით იბეგრება ან სულ არ იბეგრება, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაშ კი არ იბეგრება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე კვლევაზე იყო დახარჯული. შერავათები ვრცელდება როგორც ხელფასზე, ასევე კვლევისთვის საჭირო მოწყობილობებზე, შენობებზე თუ მასალებზე დახარჯულ თანხებზე.

დამწყებთათვის დახმარების კიდევ ერთი მიმართულება არსებობს - მსს დაფუძნება უნივერსიტეტებისა და არამომგებიანი (საჯარო სახსრებით მოქმედი) კვლევითი ორგანიზაციების მიერ. ამ შემტხვევაში მსს-ს გადაეცემა საჯარო სახსრებით მიღებული კვლევის შედეგი (დაპატენტებული ინტელექტუალური საკუთრების ან ნოუ-ჰაუს სახით). უნივერსიტეტის ტანამშრომლებს უფლება ეძლევათ შეტავსებით იმუშაონ ასეთ საწარმოში. უნივერსიტეტის მონაწილეობის ფომები სხვადასხვაგვარია. ამგვარ სქემებში ევროპა შეერთებული შტატების მიმდევარია. სადაც 1980 წელს მიირეს ცნობილი ბეიდოულის კანონი. ანალოგიური პრაქტიკა უფრო ადრე დამკვიდრდა ისრაელში.

ამ მხრივ აშშ განსაკუთრებით საინტერესო მაგალითია, რადგანაც ე.წ. „ლიბერალური ეკონომიკის „ აპოლოგეტებს სწორედ აშშ მოჰყავთ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩაურევლობისა თუ ყველა ბიზნეისის მიმართ ერთგვარი მიდგომის ნიმუშად. ბეი-დოულის აქტის გარდა, აშშ-მ 1982 წელს მიიღო მცირე ბიზნესის საინოვაციო კვლევის პროგრამა, რომლის მეშვეობით მსს შეუძლია

მიიღოს სახელმწიფო გრანტი 100-150 ათასი დოლარის ოდენობით, 6 თვით, წინასწარი მოკვლევისთვის. ამ ეტაპის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პერსპექტიულილ ტექნოლოგიის შესამუშავებლად, მას შეუძლია მიიღოს 1 მილიონ დოლარამდე ორი წლით. 1992 წელს მიღებულია კიდევ ერთი - მცირე ბიზნესის ტექნოლოგიის გადაცემის პროგრამა - მცირე ფირმებისა და საჯარო კვლევითი ორგანიზაციების ისეთი ერთობლივი კვლევის ჩასატარებლად, რომელსაც კომერციალიზაციის პოტენციალი გააჩნია. პროგრამის ფარგლებში ორგანიზაციას პირველ, მოსასინჯ ეტაპზე შეუძლია მიიღოს 100 ათასი დოლარი, ხოლო წარმატების შემთხვევაში, შემდეგ ეტაპზე - 750 ათასი.

მსს დახმარება შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე კატეგორიად. როგორც ვნახეთ, არსებობს არასაფინანსო და საფინანსო დახმარება. ეს უკანასკნელი თავის მხრივ, მოიცავს პირდაპირ საფინანსო დახმარებასა და საგადასახადო შეღავათებს.

მცირე ბიზნესის ინოვაციათა ძირითადი მამოძრავებლები თავსდება 3 ვრცელ კატეგორიაში[8]:

- საჭიროება: მცირე ბიზნესი ოპერირებს კონკურენტულ და ცვალებად ბაზრებზე. მცირე ბიზნესზე არსებობს მრავალი ზეწოლა, რომლებიც უკავშირდება შესაბამისი შრომითი ანაზღაურების გაცემას, ფასების და ხარჯების შემცირებას, მომხმარებელთათვის ხარისხიანი საქონლის მიწოდებას და მათი პრეტენზიების გათვალისწინებას. მცირე ბიზნესისათვის, კონკურენცია ყოველთვის საფრთხის შემცველია, ხოლო რესურსები კი - შეზღუდული. ამდენად, მცირე ბიზნესის-კომპანიების წარმატება ხშირად დამოკიდებულია მათი ბიზნესის მუდმივ გაუმჯობესებასა და მასში საჭირო ცვლილებების შეტანაზე.
- შესაძლებლობა: მეწარმეები ბუნებით ოპორტუნისტული ადამიანები არიან, რის გამოც მცირე ბიზნესის წარმომადგენლები მუდმივად ეძებენ ფულის შოვნის, დროის დაზოგვის, წარმოების პროცესის გაუმჯობესებისა და კიდევ უფრო ხარისხიანი საქონლის წარმოების გზებს. იმდენად, რამდენადაც ისინი ახლოს არიან საკუთარ მომხმარებლებთან და ჰყავთ გადაწყვეტილების მიმღებნი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ამ კომუნიკაციის პროცესში, მცირე

[8]https://http-download.intuit.com/http.intuit/CMO/intuit/futureofsmallbusiness/intuit_fosb_report_march_2009.pdf

ბიზნესის წარმომადგენლები ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებიან იმისათვის, რათა დაინახონ და გამოიყენონ ახალი შესაძლებლობები.

- გამჭრიახობა: მეწარმე და ვენჩერული კაპიტალისტი გაი კავასაკი საკუთარ წიგნში „რეალობის შემოწმება“ აცხადებს, რომ თუკი თქვენ გსურთ, რომ იყოთ ინოვაციური, საჭიროა, რომ შექმნათ რაღაც ისეთი, რისი გამოყენებაც გსურთ ან გესაჭიროებათ. მრავალი მცირე ბიზნესი აღმოცენდება ისეთი პროდუქტის შექმნის სურვილისგან, რომელიც არის სასურველი, მაგრამ არარსებული.

დანართი 5.

მცირე ბიზნესის ინოვაციათა ძირითადი მამოძრავებლები		
1. საჭიროება	ბაზრის მოთხოვნები და კონკურენცია	ბიზნესის მუდმივი გაუმჯობესება და მომხმარებლის მოთხოვნებზე მორგება
2. შესაძლებლობა	მეწარმეთა ბუნებითი ოპორტუნიზმი; მომხმარებელთა ბაზრის სიღრმისეული ცოდნა	წარმოების პროცესის გაუმჯობესება; ხელსაყრელი პოზიცია ახალ შესაძლებლობათა აღმოჩენისთვის
3. გამჭრიახობა	ახალი პროდუქციის შექმნის უტილიტარული მიზნები	სასურველი, მაგრამ მოცემულ ეტაპზე ჯერ არარსებული პროდუქციის შექმნა და გატანა ბაზარზე

მცირე ბიზნესში ინოვაციის პროცესები მიმდინარეობს როგორც რეაქტიულად, ასევე პროაქტიულად. მცირე ბიზნესში რეაქტიული ინოვაცია ემსახურება მომხმარებლის, ბაზრისა და კონკურენციის მოთხოვნებზე რეაგირებას. თუმცა, არსებობენ პროაქტიული ინოვატორებიც, რომლებიც ეძებენ და მოქმედებენ ახალი ბიზნეს-შესაძლებლობების აღმოსაჩენად. საინტერესოა ისიც, რომ მცირე ბიზნეს-კომპანიები ახდენენ ამ ორი პროცესის შერევასაც

ერთდროულად მომხმარებლის მოთხოვნებზე რეაგირებითა და რაღაც უფრო დიდის და უკეთესის შექმნით.

მცირე ბიზნეს-კომპანიებისთვის საერთოა მრავალი მახასიათებელი, რომლებიც აქტივაციას უკეთებს მათ უნარს, მოახდინონ ინოვაცია და უზრუნველყონ კონკურენტული უპირატესობა დიდ კორპორაციებთან მიმართებით. მათზე ზეგავლენას ასევე ახდენს ინოვაციის ამპლიფიკატორები, რომლებიც წარმოადგენს ინოვაციის შექმნისა და მისი წარმატებულობის უნარის გამაძლიერებელ ფაქტორებს.

მცირე ბიზნეს-კომპანიებს, მათი ზომის, სიმარჯვისა და მომხმარებელთა მოთხოვნების ღრმა გააზრებულობის გამო, გააჩნიათ რამდენიმე დამახასიათებელი ინოვაციური უპირატესობა დიდ კორპორაციებთან შედარებით. მათ აქვთ უნარი უფრო მეტი მზაობით მოახდინონ ახალ შესაძლებლობათა იდენტიფიცირება, სწრაფი რეაგირება მოახდინონ ცვალებად ბაზარსა და წარმოების პირობებზე და სხარტად გაუწიონ კონკურენცია თავისზე უფრო დიდ კონკურენტებს. მცირე ბიზნესის ინოვაციათა ხელის შემწყობი ფაქტორები შემდეგია[9]:

- პირადი მისწრაფება: მეწარმეები ხშირად იწყებენ მცირე ბიზნესს საკუთარი მისწრაფების ან ოცნების განხორციელებისთვის. ამგვარი მისწრაფებები ეხმარება მათ, რომ დიდი ენთუზიაზმით მოეკიდონ საკუთარ იდეებს, რაც აიძულებს მათ, რომ სცადონ ახალი ბიზნეს-მიდგომები, რათა გახადონ საკუთარი ბიზნესი უფრო წარმატებული.
- კავშირი მომხმარებლებთან: იმის გამო, მცირე ბიზნეს-კომპანიებს ახასიათებს მჭიდრო კავშირი მომხმარებლებთან და ბაზრის სიღრმისეული გააზრება, მათ აქვთ უნარი, განჭვრიტონ მომხმარებელთა მოთხოვნები, აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები და გამოასწორონარსებული პრობლემები სწრაფად და ეფექტურად.ბაზარზე ამგვარი ღრმა და პირდაპირი ჩართულობა კი, თავის მხრივ ქმნის ბევრად უფრო მეტ ინოვაციურ შესაძლებლობებს.
- სიმარჯვე და ადაპტაცია: დიდი კორპორაციებისგან განსხვავებით, მცირე ბიზნეს-კომპანიებს აქვთ უნარი სწრაფად და მარტივად მოახდინონ საკუთარი ბიზნეს-პრაქტიკის ადაპტირება, კურსის შეცვლა ან თუნდაც სრულიად ახალი

[9]https://http-download.intuit.com/http.intuit/CMO/intuit/futureofsmallbusiness/intuit_fosb_report_march_2009.pdf

კურსის აღება. ამ სიმარჯვის გამო, მცირე ბიზნეს-კომპანიათაგან ინოვაციის განხორციელება უფრო ნაკლებ რესურსებს მოითხოვს და უფრო მარტივია, ვიდრე დიდი კორპორაციებისთვის.

- ექსპერიმენტირება და იმპროვიზაცია: ახალ შესაძლებლობათა ძიებისას, მცირე ბიზნესის მრავალ მფლობელს და მენეჯერს არ აქვს ესპერიმენტირების და იმპროვიზაციის შიში, აღიარებენ რა მარცხს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. ისინი ამ პროცესში ხედავენ პოტენციურ ინოვაციებთან დაკავშირებულ როგორც რისკებს, ასევე ჯილდოებსაც. ყველა რისკის თავიდან არიდების ნაცვლად, მცირე ბიზნეს კომპანიები ცდიან ახალ ხერხებს, ახდენენ წარმოების ვარდნის გამომწვევი პრობლემების გადაჭრას და მიიწევენ წინ, მომავალი ჯილდოების მისაღებად.
- რესურსების შეზღუდულობა: მცირე ბიზნეს კომპანიები დახელოვნებული არიან ნაკლები რესურსებით მეტი პროდუქციის შექმნის საკითხში. ხოლო რესურსების ამგვარი შეზღუდვები კი, თავის მხრივ, ახდენს ინოვაციური გონების აქტივაციას. გააჩნიათ რა შედარებით მცირე კაპიტალი და მცირერიცხოვანი პერსონალი, მცირე ბიზნეს-კომპანიები იძულებულნი არიან, რომ ფოკუსირდნენ მაღალეფექტურ და მცირე დანახარჯების შემცველ ინოვაციურ ძალისხმევაზე. ამდენად, მცირე ბიზნეს-კომპანიები საკუთარ რესურსებს ეფექტურად იყენებენ.
- ინფორმაციის გაზიარება და თანამშრომლობა: მცირე ბიზნეს-კომპანიები როგორც წესი, ეყრდნობა ძლიერ სოციალურ ქსელებს - სავაჭრო ასოციაციებს, კომერციულ პალატებს და ოჯახისა და სამეგობრო წრის უაღრესად ფართო ქსელს - რათა მოხდეს ინფორმაციის გაზიარება და ინოვაციური აზროვნების ინსპირაცია. სწორედ ეს ქსელები უზრუნველყოფს უკუკავშირსა და დახმარებას მცირე ბიზნეს კომპანიათა იდეებზე მეთოდებსა თუ შენატანზე, მაშინ როდესაც რესურსები მწირია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს მარეგულირებელი გარემო ზეგავლენას ახდენს მცირე ბიზნესის ინოვაციებზე. მთავრობის მარეგულირებელ პოლიტიკას შეუძლია მისცეს სტიმული ინოვაციას მცირე ბიზნესში. ინოვაციისთვის ხელსაყრელი და გამჭვირვალე კანონმდებლობა ახდენს ახალი ბიზნესის ფორმირების წახალისებას. საგადასახადო პოლიტიკას კი შეუძლია

მოახდინოს ახალ ტექნოლოგიათა, პროდუქტთა და მეთოდთა კვლევა, განვითარება და კომერციალიზაცია.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის“ სამუშაო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, სახელწოდებით **„საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას[10]“** - საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული ინოვაციური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტი. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, “საინოვაციო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში არსებული მდგომარეობის ფონზე შეიძლება დავახასიათოთ როგორც საინოვაციო პოლიტიკის შემუშავების წინა ეტაპი. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკა, როგორც ნორმატიული დოკუმენტების ერთიანი სისტემა ჯერ არ არსებობს, მაგრამ ინოვაციის საკითხები ჩართულია ქვეყნის განვითარებაზე მსჯელობის დღის წესრიგში”.ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ჯერ არ მიუღწევია ეკონომიკური განვითარების იმ დონისათვის, რომ მან საკუთარ თავზე აიღოს ქვეყანაში არსებულ ბიზნეს-კომპანიათა ინოვაციური განვითარების ხელშეწყობა, როგორც ეს მაგ. ჩინეთში ხდება, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი ბანკი, რომელიც მილიარდობით დოლარის ოდენობის სესხს გასცემს ინოვაციურ კომპანიათა ხელშეწყობისათვის. თუმცა, ქვეყანაში მაინც არსებობს გარკვეული მცდელობები, ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნეს-კომპანიათა ინოვაციურ განვითარებას. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, „ბოლო წლების სამთავრობო გადაწყვეტილებებიდან, რომელიც ინოვაციის საკითხებს შეეხო, შეიძლება აღვნიშნოთ რეგიონული განვითარების სტრატეგია (2010 წ.)დასაქართველოს საინოვაციოკონცეფცია (2012 წ.)[11].

აღნიშნული დოკუმენტის ავტორები - ო. შატბერაშვილი და მისი კოლეგები განიხილავენ საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულების სამ ვარიანტს, რომლებიც არის შემდეგი - „არავითარი პოლიტიკა“, „ხელისუფლება ინოვაციურ განვითარებას ემხრობა“ და „განვითარება საინოვაციო პოლიტიკის

[10]http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf
[11]საქართველოსმთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N 1722 განკარგულება. საქართველოსსაინოვაციოკონცეფცია.

საფუძველზე“. როგორც ავტორები აღნიშნავენ, პირველი ვარიანტი გულისხმობს საინოვაციო პროცესების სტიქიურ განვითარებას, იმ რწმენის საფუძველზე, რომ „განურჩევლად ეკონომიკის სექტორის, საწარმოო ობიექტის, თუ ქვეყანაში კონკრეტული ვითარებისა, კერძო მფლობელობა უფროეფექტურია ვიდრე საზოგადოებრივი“[12]. ამ მიდგომის მომხრეებს სწამთ, რომ ეკონომიკურ განვითარებას თავისუფალი კონკურენცია განსაზღვრავს, რის გამოც სახელმწიფო თავს იკავებს კერძო სუბიექტთა საქმიანობაში ჩარევისგან და ყველა ეკონომიკურ სუბიექტს უქმნის თანაბარ პირობებს (რაც არ გულისხმობს რომელიმე მათგანის ხელშეწყობას). როგორც ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, ამგვარმა ხედვამ „უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ინოვაციური განვითარების უზრუნველმყოფი სისტემის - საინოვაციო სისტემის - მდგომარეობაზე, რომლის შემადგენელი ნაწილებია განათლების, კვლევისა დ აკვლევითი მომსახურების სისტემები (ეს უკანასკნელი მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფორმაციის, სტანდარტიზაციის, სასოფლო-სამეურნეოგ ამოცდის, ხარისხის მართვის, გეოლოგიის, მეტროლოგიის, მეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიის, სეისმოლოგიისა და მრავალ სხვასამსახურებს)“[13].ამდენად, საქართველოში უკვე იგრძნობა აღნიშნულ სფეროებში შესაბამისი განათლების მქონე კადრების მწვავე დეფიციტი, რაც ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის მიმზიდველობაზე საინვესტიციო კუთხით, ისეთ სექტორებში, რომლებიც დაკავშირებულია მაღალტექნოლოგიური ინოვაციების აღმოცენებასთნ. ამდენად, ავტორები საფუძვლიანად ასკვნიან, რომ „ქვეყანაში, რომელსაც ევროინტეგრაცია სტრატეგიულ მიმართულებად აქვს გაცხადებული, „არავითარი პოლიტიკა“ ალოგიკური პარადიგმაა, რადგანაც ევროკავშირში ეკონომიკური და სოციალური განვითარების საფუძველის წორედ საინოვაციო პოლიტიკაა[14].

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტშის[15] მიხედვით მეორე ვარიანტი - ხელისუფლების მიერ ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის გამოხატულებაა ის, რომ „2012 წლისსაპარლამენტოარჩევნებისშემდეგსაქართველოშიინოვაციის,

[12]http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf
[13]http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf
[14]ევროკავშირისმრავალდონიანისაინოვაციოპოლიტიკადაევროინტეგრაცია. რედაქტორები: ი. გოგოძე, ო. შატბერაშვილი, ეგსიგ, თბილისი, 2010, 310 გვ., ლიტ. 300.
[15]http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf

როგორცგანვითარებისუმნიშვნელოვანესიფაქტორის, აღიარებამოხდა“. ავტორებს ამის დასადასტურებლად მოჰყავთ ისეთი ფაქტები, როგორებიცაა მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფციის შექმნა; სამინისტროების მიერ ეკონომიკური და მათ შორის ინოვაციური განვითარების სტრატეგიებზე მუშაობა; შესაბამის სამინისტროებში ინოვაციური ქვედანაყოფების ფორმირება; პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებული საინოვაციო საბჭოს შექმნა და სხვა. გარდა ამისა, „საქართველოს სოფლის მეურნობის განვითარების გეგმა[16]და მისი მხარდამჭერი ევროკავშირის პროგრამა ENPARD[17]მრავლად შეიცავენ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ღონისძიებებს“[18].თუმცა, აქვე აღნიშნულია ისიც, რომ ამ მიდგომის ნაკლოვანებას წარმოადგენს აღნიშნულ სახელმწიფო ინიციატივათა სუსტი ურთიერთკავშირი, და აგრეთვე ისიც, რომ ეს ინიციატივები სრულად ვერ ფარავს ინოვაციური განვითარებისთვის მნიშვნელოვან მიმართულებათა სრულ სპექტრს. ხოლო იმის გამო, რომ ამ ინიციატივებში არ მონაწილეობს ძირითადი რელევანტური სახელმწიფო სტრუქტურები (ყველა სამინისტრო, მეცნიერებათა აკადემიები), ღონისძიებათა ეფექტურობა უფრო დაბალია, ვიდრე მათი კოორდინირებულად მოქმედების შემთხვევაში იქნებოდა.

რაც შეეხება დოკუმენტში აღნიშნულ მესამე მიდგომას - „განვითარება საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე“, აქ იგულისხმება ის, რომ ეფექტური საინოვაციო პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, ქვეყანაში არსებული ბიზნესის ინოვაციური განვითარება ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ზემოთ აღწერილი სხვა დანარჩენი შემთხვევების პირობებში. საქართველოში დღესდღეობით ეტაპობრივად ხდება საინოვაციო პოლიტიკისთვის საჭირო წინაპირობების შემუშავება, როგორიცაა ინოვაციის აღიარება ეკონომიკური ზრდის მექანიზმად, შესაბამისი სპეციალისტების მომზადება, ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების

[16]საქართველოსმთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N 37 დადგენილება, დანართი N3. საშუალოვადიანისამოქმედოგეგმა (2014 – 2017 წ. წ.).
საქართველოსსოფლისმეურნეობისსამინისტრო.
[17]. ევროპისსამეზობლოპროგრამასოფლისმეურნეობისადასოფლისგანვითარებისთვის: საქართველო (ENPARD-Georgia).
[eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/annex_enpard_20130313_en.pdf]
[eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/annex_enpard_20130313_ka.pdf]
[18]http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf

და განხორციელებისთვის საჭირო უცხოური გამოცდილების შესწავლა, დონორების მზაობა საინოვაციო პოლიტიკის განხორციელებაში ტექნიკური დახმარებისათვის და სხვა.

სასარგებლო მოდელზე ეროვნული განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი განყოფილებებია:

• A განყოფილების დარგები: პირველადი მოთხოვნილების საგნები -24 განაცხადი;

• E განყოფილება: მშენებლობა; სამთოსაქმე - 11 განაცხადი;

• B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები - 8 განაცხადი

ევროკავშირს განსაზღვრული აქვს 5 მთავარი მიზანი, რომელსაც 2020 წლამდე უნდა მიაღწიოს:

1. დასაქმება

მინიმუმ 75 % დასაქმებული 20 - დან 64-მდე წლის ასაკის ხალხში

2. კვლევა და განვითარება

ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტის 3 % ინვესტიცია კვლევასა და განვითარებაში

3. კლიმატის ცვლილება და მდგრადი ენერგეტიკა

სათბური აირების გამოყოფის შემცირება 20 % - ით , 1990 წელთან შედარებით

განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის 20 % - ით ზრდა

ენერგოეფექტურობის 20 % - ით ზრდა

4. განათლება

სკოლის მიმტოვებელთა რიცხვის 10 % - მდე შემცირება

უმაღლესი განათლების მქონე 30-34 წლის ხალხის რაოდენობის მინიმუმ 40% - მდე ზრდა

5. სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა

20 მილიონით ნაკლები, სირარიბის ზღვარს მყოფი ადამიანი ევროპაში

მშპ-ს ხვედრითი წილი კვლევებზე გაწეულ ხარჯებზე და მკვლევარების რაოდენობა [19]

[19] http://www.oecd.org/innovation/inno/researchanddevelopmentstatisticsrds.htm

დანართი 6.

ქვეყანა	კვლევებზე გაწეული ხარჯები მშპ-ს მიხედვით	მკვლევარების რაოდენობა ყოველ დასაქმებულ 1000 კაცზე
დანია	3,051 %	14,7
ფინეთი	3,174 %	15,32
შვედეთი	3,161 %	14,07
საფრანგეთი	2,256 %	9,88
ავსტრია	2,114 %	8,98
ბელგია	2,465 %	10,30
სლოვენია	2,386 %	9,22
იტალია	1,28 %	4,93
თურქეთი	1,007 %	3,46
ისრაელი	4,109 %	17,38
პოლონეთი	0,941 %	5
საბერძნეთი	0,835 %	7,49
საქართველო	0,098 %	4,33

საინტერესეოა საქართველოს საწარმოების აქტივობა ინოვაციურ სფეროში, რის ანალიზისთვის გთავაზობთ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერჩატარებული კვლევის შედეგებს:

დანართი 7.

ინოვაციები პროდუქციაში (საქონელი/მომსახურება), 2015-2018 წლების მიხედვით (%)

	%
2015-2018 წლების განმავლობაში თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ	48.8

არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი?	%
2015-2018 წლების განმავლობაში თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება?	51.2 %
სულ	**100. 0%**

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის შესაბამისად

დანართი 8.

საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლისა და მომსახურების ინოვაციები, 2013-2015 წლების მიხედვით (%)

	საქონლის ინოვაცია	მომსახურების ინოვაცია
უშუალოდ თქვენმა საწარმომ	70.1%	61.4%
თქვენმა საწარმომ სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან * ერთად	10.6%	14.6%
თქვენმა საწარმომ განახორციელა სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლის/მომსახურების ადაპტირება - მოდიფიცირება	9.1%	13.7%
სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ	10.2%	10.3%
სულ	**100.0%**	**100.0%**

***** დაწესებულებების ქვეშ იგულისხმება - უნივერსიტეტები, კვლევა-შემმუშავებელი დაწესებულებები, არამომგებიანი ორგანიზაციები და ა.შ.

დანართი 9.

განხორციელებული ინოვაციის დახასიათება, 2015-2018 წლების მიხედვით (%)

	%
ახალი თქვენი ბაზრისთვის (ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/ მომსახურება) შეტანილი გაქვთ ბაზარზე თქვენს კონკურენტებზე ადრე, თუმცა იგი შეიძლება უკვე წარმოდგენილი იყოს სხვა ბაზრებზეც)	38.6%
ახალი თქვენი საწარმოსთვის (თქვენმა საწარმომ შემოიტანა ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/მომსახურება), რომელიც თქვენს კონკურენტებს უკვე ჰქონდათ შემოტანილი ბაზარზე)	61.4%
სულ	**100.0%**

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის შესაბამისად

დანართი 10.

ინოვაციების შემოტანა ბაზარზე , 2015-2018 წლების მიხედვით (%)

	%
2015-2018 წლებში თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული პროცესები საქონლის/მომსახურების წარმოებისთვის?	41.5%
2015-2018 წლებში თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული ლოჯისტიკის, მიწოდების და დისტრიბუციის მეთოდები თქვენი ნედლეულის ან წარმოებული საქონლის/მომსახურებისთვის?	23.0%
2015-2018 წლებში თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მხარდამჭერი აქტივობები თქვენი საწარმოო პროცესებისთვის (მაგ. შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვის, გამოთვლების მომსახურების სისტემები)?	35.5%

სულ	**100.0%**

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის შესაბამისად

დანართი 11.

მიმდინარე და შეჩერებული საინოვაციო აქტივობა, 2015-2018 წლების მიხედვით (%)

	%
დასრულებამდე შეჩერდა	23.1%
ჯერ არ დასრულებულა	76.9%
სულ	**100.0%**

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის შესაბამისად

დანართი 12.

საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში, 2015-2018 წლების მიხედვით (%)

	%
საკუთარი კვლევები და დამუშავებები	12.1%
გარე კვლევები და დამუშავებები	5.0%
მანქანა - დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა	27.2%
გარე ცოდნის შეძენა	7.8%
ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული სწავლება	15.1%
ინოვაციების შეტანა ბაზარზე	11.7%
დიზაინი	13.5%
სხვა	7.5%
სულ	**100.0%**

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის შესაბამისად

მარკეტინგული ინოვაციები, 2015-2018 წლების მიხედვით (%)

	%
მნიშვნელოვანი ცვლილებები პროდუქციის ესთეტიკურ დიზაინსა და შეფუთვაში (გარდა ცვლილებებისა პროდუქციის ფუნქციონალურ და სამომხმარებლო მახასიათებლებში, რაც პროდუქტებში ინოვაციის საგანია)	26.5%
ახალი მედიის ან ტექნიკის შემოტანა პროდუქციის პოპულარიზაციისთვის (მაგ. ახალი სარეკლამო მედია, ახალი ბრენდის იმიჯი, დაგროვებითი ბარათები და ა.შ.)	24.6%
პროდუქციის განთავსების ან გასაღების ახალი არხების შემოტანა (მაგ. ახალი ფრანჩიზები ან დისტრიბუციის ლიცენზიები, პირდაპირი გაყიდვები, ექსკლუზიური საცალო გაყიდვები, ახალი კონცეფციები პროდუქციის პრეზენტაციისთვის და ა.შ.)	19.5%
საქონლის/მომსახურების ფასდადების ახალი სისტემა (მაგ. პირველადი გამოყენება მოთხოვნის მიხედვით ფასის ცვლილების სისტემის, დისკონტირების სისტემის და ა.შ.)	29.4%
სულ	**100.0%**

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი

დანა	მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის
რთი 13.	შესაბამისად

ჩატარებული კვლევის შედეგებით ცხადი ხდება, რომ ინოვაციების დანერგვა მომსახურების სფეროში უფრო მაღალია, ვიდრე წარმოებაში; საწარმოები უმეტეს წილად დამოუკიდებლად ნერგავენ ინოვაციებს. გამძაფრებული კონკურენციის ფონზე, საწარმოებს შემოაქვთ ისეთი ინოვაციები, რომლებიც ბაზარზე უკვე გამოყენებულია, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ახალი ბიზნეს-იდეების დაფინანსება, რომელიც სრულიად ახალ მოთხოვნას წარმოშობს ბაზარზე და გასაქანი მიეცემა უახლესი იდეების განხორციელებას.

დასკვნა

საქართველოში დამოკიდებულება ინოვაციურ და ზოგადად მსს-ს მიმართ ევროკავშირთან შეუსაბამობაშია, ხოლო პოლიტიკა ამ სფეროში არ არსებობს. ამიტომ საჭიროა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა გასწიოს რათა შემუშავებული იქნას ინოვაციური პოლიტიკა. ევროკავშირი გვთავაზობს სხვადასხვა მოდელებს ამისთვის. განსხვავებულია მსს- სსფეროში საქართველოსა, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების ინდიკატორები. ინოვაციური განვითარებისთვის ზოგიერთი ინსტრუმენტი შექმნილია, როგორიცაა ტექნოლოგიური და ინოვაციების სააგენტო, მეწარმეობის განვითარების სააგენტო, ციფრული მაუწყებლობის სააგენტო, ბიზნესინკუბატორი, ამუშავდა ფერმერთა დახმარების სქემები, შეღავათიანი კრედიტები სოფლის მეურნეობაში, სასოფლო-

სამეურნეო კოოპერატივები, მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში.

საქართველოში დღესდღეობით ეტაპობრივად ხდება საინოვაციო პოლიტიკისთვის საჭრო წინაპირობების შემუშავება, როგორიცაა ინოვაციის აღიარება ეკონომიკური ზრდის მექანიზმად, შესაბამისი სპეციალისტების მომზადება, უცხოური გამოცდილების შესწავლა, დონორების მზაობა, საინოვაციო პოლიტიკის განხორციელებაში ტექნიკური დახმარებისთვის და სხვა.

ვეთანხმებით იმ მკვლევარებს, რომლებიც თვლიან, რომ რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას დაბალი და საშუალო ტექნოლოგიების მიმართულებით. ასევე, დავიწყოთ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება პილოტურ დონეზე.

ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტეს წილად უზრუნველყოფს ინოვაციები. ტექნოპოლისი იქცა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტად, რომელიც წარმოადგენს მასში შემავალი კომპონენტების ორგანიზაციულ ფორმას: ინოვაციური კომპანიები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, კვლევითი ლაბორატორიები, საკონსულტაციო კომპანიები, საწარმოები, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები. ვფიქრობთ, რომ საქართველოშიც აუცილებელია ამ მიმართულებით სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა გრძელვადიანი პროცესია. პირველ რიგში უნდა მოხდეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საქართველოს მსგავსი ქვეყნების წარმატებული ტექნოპარკების ადმინისტრაციასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს რეალობა, ის ძლიერი და სუსტი მხარეები რომლებიც ქვეყანას გააჩნია. სახელმწიფოს დონეზე უნდა ჩა-მოყალიბდეს ერთიანი ხედვა და სტრატეგია, გამოიყოს პრიორიტეტული დარგები. ფრაგმენტული და არათანმიმდევრული მცდელობები ვფიქრობ არ იქნება ეფექტური, რადგან ტექნოპარკის ჩამოყალიბებისათვის რამოდენიმე ჩართული მხარეა საჭირო (უნივერსიტეტები - მაღალპროფესიული კადრების მომზადების პოტენციური წყარო; კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები; სახელმწიფო როგორც პროექტის ინიციატორი და ცალკეული პროდუქტების შესაძლო

დამკვეთი; ვენჩურული კაპიტალი; კერძო მსხვილი ბიზნესი; საწარმოები და ა.შ.). ერთი კომპონენტის არასაკმარისმა ჩართულობამ ან/და დაინტერესებამაც კი შესაძლებელია გამოიწვიოს ტექნოპარკის ნაკლებეფექტიანობა. ამავე დროს საწყის ეტაპზე ჩართული მხარეების კოორდინირება, დაინტერესება და ცნობადობის ამაღლებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა გრძელვადიანი პროცესია, რომლის ხელშესახები შედეგები, გააზრებული და ეფექტური პოლიტიკის გატარების შემდგომ, ქვეყანამ შესაძლოა იხილოს მხოლოდ 10-15 წლის შემდგომ. პირველ რიგში აუცილებელია განათლების სისტემის (მათ შორის როგორც მაღალტექნოლოგიური ასევე სამეწარმეო დარგების) გაძლიერება და დახვეწა, მაღალტექნოლოგიური ცოდნის იმპორტი. საჭიროა ყველა წამყვანი უნივერსიტეტისა და კვლევითი ლაბორატორიის ჩართვა ტექნოპარკების განვითარებაში. საერთაშორისო გამოცდილება ასევე აჩვენებს, რომ ქვეყანაში მაღალი ტექნოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი მხოლოდ საგადასახადო შეღავათების დაწესება ან/და სტარტაპ კომპანიების შენობით და სხვა ინფრასტრუქტურული ელემენტებით უზრუ-ნველყოფა. ტექნოპარკი უპირველეს ყოვლისა არის გამართული ეკოსისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური იდეების გენერირებას და მათ კომერციალიზაციას. ამისათვის კი უნდა არსებობდეს შესაბამისი მაღალკვალიფიცირებული კადრები. ასევე მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები. საინფორმაციო ტექ-ნოლოგიების მიმართულებასთან ერთად ტექნოპარკის არეალში უნდამოექცეს სხვა მაღალტექნოლოგიური დარგებიც, რომლის სწრაფი განვითარების პერსპექტივაც საქართველოს გააჩნია. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საწყის ეტაპზე შესაძლებელია განვითარებული ქვეყნებიდან ტექნოლოგიების შემოტანა, ადაპტაცია და შესაბამისი პროდუქტების წარმოების დაწყება (შედარებით მარტივ ფუნქციაზე ორიენტაცია). ტექნოპარკებში უნდა შეიქმნას ისეთი სამართლებრივი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც დაეხმარება კომპანიებს კონკურენტულ გარემოში შეარჩიოს ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის წარმოების პროექტები, მომზადდეს ადამიანური რესურსი, რომელიც

ორიენტირებული იქნება მეწარმეობასა და ახალ ტექნოლოგიებზე, ჩატარდეს გამოყენებითი მეცნიერული კვლევები, რის შემდეგაც მოხდება შექმნილი ტექნოლოგიების წარმოება. ყოველივე ამის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ინოვაციურიგარემო, რომელიც უზრუნველყოფს ახალი იდეების გარდაქმნას წარმოებისათვის განკუთვნილ ფართო მოხმარების პროდუქტებად, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ბაზარზე. ინოვაციური სტრუქტურების ფორმირება, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც დააინტერესებთ ინოვაციური პროცესების მსოფლიო ლიდერ კომპანიებს, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და პროფესიულ განვითარებას.

ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსების მობილიზაცია (უნივერსიტეტების, კერძო ბიზნესის, სხვა დაინტერესებული მოტამაშეების) საშუალებას იძლევა საერთაშორისოდ აღიარებულიდან გადაირჩეს და განვითარდეს ის ადგილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც მიზანშეწონილია და რეალიზებადია კონკრეტულ ადგილობრივ პირობებში. იგივე მობილიზაცია იძლევა საშუალებას თანდათან, სულ უფრო მეტი ეფექტურობით, გამოყენებულ იქნას ეროვნული და საერთაშორისო დახმარების მექანიზმები.

საქართველო ამჟამად განვითარებადი ქვეყანაა. რაც არ უნდა შორს ვიყურებოდეთ (რაც მისასალმებელია), დღეს უნდა გადავდგათ რეალიზებადი ნაბიჯები. ამავე დროს, პილოტურ დონეზე, დღესვე, დაუყონებლივ უნდა დავიწყოთ უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებ

გამყენებული ლიტერატურა

- ბიზნესის საფუძვლები (n. orjonikiZe, l. yifiani, v. Bagdasariani);
- აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, „ინოვაცია“, თბილისი, 2005;
- გველესიანი რ., მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. “სამშობლო“, თბილისი, 1999;
- თეთრუაშვილი http://www.nplg.gov.ge/--
- ე. გობეჯიშვილი, 2013
- ვაშაკიძე თ. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში”. თბ., 2009;

- https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
- http://www.eu4business.eu/ka/programme/mcire-da-sashualo-mecarmeobis-ganvitareba-da-dcfta-sakartveloshi
- https://reformeter.iset-pi.ge/ka/reforms/mcire-da-sashualo-biznesis-slash-inovaciebis-ganvitareba/2017-phase-1
- http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D_%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
- file:///C:/Users/leoparde/Desktop/New%20folder%20(2)/Mewarmeoba%20saqartveloshi%202017.pdf
- აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, „ინოვაცია“, თბილისი, 2005.
- ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012
- გოგიაშვილი ო., მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები დამათი გადაჭრის გზებისაქართველოში. ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2009
- თოქმაზიშვილი მ., მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშწყობა (ღირებულების ზრდის განვითარება). წიგნში „კერძო სექტორი და განვითარება: სადისკუსიო წერილების სერია“, გაეროს განვითარების პროგრამა, 2010. http://www.ifc.org/ifcext/home.nsf/AttachmentsByTitle/Georgia-SME-ReportF/$FILE/Georgia+SME+Report.pdf